# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 16 ოქტომბერი 2007 №239 (3162) ფასი 50 თეთრი


# მამაცი გულები და თბილისის ქუჩები



## ლომაია სახლში, მაკარიძე კარში, ცქიტიშვილი?



გუშინ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა საშოტლანდიო მზადება დაიწყო. კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი „მიხეილ მესხზე“ ავარჯიშა და თან ერთი სიახლეც გამოგვიცხადა: გიორგი ლომაიამ ნაკრები დატოვა და მის ნაცვლად ბოლნისის „სიონის“ მეკარე ზვიად სტურუა მიიწვია.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს — პრობლემებით დახუნძლული შოტლანდია დღეს დილით ჩამოვა თბილისში, თუმცა ქომაგთა ერთი ნაწილი უკვე ჩამოფრინდა და გუშინ თბილისის ქუჩებში თუ გაიარეთ, კილტებში გამოწყობილ სქოთებსაც უთუოდ შეამჩნევდით.

სმა, სურათების გადაღება, ყვირილი, გიჟმაჟობა — ხუთასამდე შოტლანდიელი ქომაგი თბილისს უკვე გაუშინაურდა და დღეს-ზვალ მათ ოთხი ამდენი კიდევ შეუერთდება.

მოკლედ, დიდი ამბების მოლოდინი იგრძნობა.

გუშინ კი ნავარჯიშევს *კლაუს ტოპმიოლერს* გავესაუბრეთ და, აი, რა გვითხრა მან:

— ნაკრებში კარგი მდგომარეობაა. მართალია, იტალიასთან წაგებამ ბიჭები დაამწუხრა, მაგრამ ვცდილობთ, ეს წაგება შოტლანდიასთან მატჩამდე დავივიწყოთ. ახლა მთავარი პრობლემა ის გვაქვს, რომ ლევან ცქიტიშვილის თამაში საეჭვოა...

**— გიორგი ლომაია ნაკრებში აღარ არის და კარში ვის დააყენებთ, უკვე მოფიქრებული გაქვთ?**

— კარში გიორგი მაკარიძე ჩადგება. მან ეს შანსი დაიმსახურა და ეძლევა კიდეც. დიდი იმედი მაქვს, რომ თავს კარგად წარმოაჩენს.

**— შოტლანდიაზე რას იტყვით?**

— კარგი ნაკრებია. კარგი ფეხბურთელები ჰყავს, ჩვენი ჯგუფის ლიდერია და ამით ყველაფერი ნათქვამია. შოტლანდიელებს თბილისში უეჭველი სამი ქულა უნდათ და მძიმე თამაში იქნება. ახლა, ბოლო ტურებში, ყველა ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს მატჩს კიდევ უფრო ძაბავს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ — ამის პირობას გაძლევთ.

**ქახა შალამბერიძე**



ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე



ბადრი კიკილაშვილის ფოტოები

# ლომაია წავიდა, ცქიტიშვილი საეჭვოა

საქართველოს ნაკრები „მიხეილ მესხს“ 18 საათზე მოადგა. ავტობუსიდან ჩამოსული ფეხბურთელები პირდაპირ მოედანზე შევიდნენ, ჟურნალისტებთან გასაუბრებას ჯიუტად არ გაურბოდნენ, მაგრამ თავს აშკარად იკავებდნენ.

კლაუს ტოპმიოლერმა იტალიასთან მატჩის შემდეგ ერთ ახალ ფეხბურთელს უხმო — ის ბოლნისის „სიონის“ მეკარე ზვიად სტურუაა, ხოლო გიორგი ლომაიამ ეროვნული გუნდი დატოვა.

ვარჯიშამდე ტოპმიოლერმა ფეხბურთელები შემოიკრიბა და დაახლოებით 10 წუთი ესაუბრა, განსაკუთრებით კი, მეკარეებს, გიორგი მაკარიძეს და ზვიად სტურუას დაუთმო დიდი დრო.

ვარჯიში ძუნძულით დაიწყო. ამას მოჰყვა მოედნის ცენტრში ბურთიანად გახურება, მერე იყო კვადრატი, რომელიც საკმაო ხანს გაგრძელდა...

ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ცქიტიშვილი კი ბურთს არ გაჰკარებია, 45 წუთი იძუნძულა და სტადიონი დატოვა.

როგორც ითქვა, შოტლანდიასთან მისი თამაში საეჭვოა.

დასრულდა კვადრატი და მოედნის მეოთხედში ორკარა გაჩაღდა. ერთ ეპიზოდში მაკარიძეს ახლო მანძილიდან გიორგი შაშიაშვილის დარტყმული ბურთი მოხვდა მუცელში და ცოტა ხნით ვარჯიში შეწყდა, თუმცა ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და ვარჯიშიც მალევე გაგრძელდა.

ტოპმიოლერმა ბოლო წუთებში დასვენების საშუალება მისცა თითქმის ყველა იმ ფეხბურთელს, რომლებმაც იტალიაში ითამაშეს, დანარჩენებმა კი ორკარა გააგრძელეს და რამდენიმე წუთში წვრთნაც დასრულდა...

და ერთიც: ყოფილ თანაგუნდელებს თვალყური ადევნა გოგა გახოკიძემ, ვინც, გეცოდინებათ, რამდენიმე თვის წინ კარიერა დაასრულა. გოგამ ბიჭებიც მოიკითხა და ტოპმიოლერსაც საკმაოდ დიდხანს ესაუბრა...

**ნუკრი ლოლაძე**



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

# ზვიად სტურუა: მადლობა ღმერთს, ოცნებაში დავბრუნდი

**ზვიად სტურუა ისევ ნაკრებშია. 28 წლის მეკარე ეროვნულ გუნდში პირველად ალენ ჟირესმა გამოიძახა 2005 წელს, თუმც იმავე წელს თბილისის „დინამოში“ გადასვლის მერე კარიერა აერია, ერთხანს უთამაშებელიც იყო. არადა, სტურუა ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეული მეკარეა ჩვენს ჩემპიონატში, აგერ, ბოლნისის „სიონში“ დაიბრუნა სათამაშო პრაქტიკა და...**



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

— ცხადია, ძალიან მოულოდნელი იყო, ნაკრებში რომ გამომიძახეს. იტალიასთან მატჩის შემდეგ ოთხ დღეში თამაშია და ახალი ფეხბურთელს იძახებ: როგორ არ უნდა გამკვირვებოდა?! უზომოდ გახარებული ვარ — გვითხრა ზვიადმა, გუშინ ნაკრების ვარჯიშის შემდეგ რომ გავესაუბრეთ.

— ბოლო წლებში მუდმივად სათამაშო პრაქტიკის უქონლობას უჩიოდი და ახლა რამდენად ხარ ფორმაში?

— ვთვლი, რომ ნორმალურ ფორმაში ვარ. ასე რომ არ ყოფილიყო, არც გამომიძახებდნენ. ისიც შემიძლია ვთქვა, რომ „დინამოდან“ წასვლის შემდეგ ასეთ ფორმაში არ ვყოფილვარ.

— ორ წელიწადზე მეტია, რაც ნაკრებში აღარ იყავი. როგორი იყო დაბრუნება?

— დიდი გრძნობაა... ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ ჩემთვის ნაკრები უდიდესი რამეა, იმაზე მეტი საამაყო რა უნდა იყოს, შენი ქვეყნის დროშის და ჰიმნის ქვეშ რომ თამაშობ... მადლობა ღმერთს, ისევ მოვხვდი ჩემი ოცნების გუნდში. თავს არ დავზოგავ.

**ილია ნანობაშვილი**

# ვიფიქროთ, ვიშრომოთ!

## ზურაბ ხიზანიშვილი ბლექბერნიდან მიდის?



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

**ზურაბ ხიზანიშვილი ბოლო წლებში ალბათ ყველაზე უიღბლო სეზონს ატარებს — ლაპარაკია არამარტო სანაკრებო, არამედ საკლუბო დონეზეც. რა ხანია, „ხიზანას“ „ბლექბერნის“ ძირითადში ადგილი დაკარგული აქვს და, როგორც გუშინ ნაკრების ვარჯიშის დასრულების შემდეგ გვითხრა, ასე დიდხანს აღარ გაგრძელდება — იანვარში კლუბის გამოცვლას აპირებს. ცხადია, ზურასთან საუბრის მთავარი თემა შოტლანდიასთან მოახლოებული მატჩი იყო, თუმც ჯერ იტალიასთან მარცხით დავიწყეთ...**

— გენუაში იტალიასთან 0:2 წაგებულ მატჩზე რას იტყვით?

— იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვითამაშეთ, თუმცა ნორმალური კი ეთქმოდა ჩვენს თამაშს. პირველი ნახევრის ბოლოს ძალიან დასანანი გოლი გაუშვით... ახლა ამ თამაშზე მეტი საუბარი აღარ მსურს. რაც იყო, იყო. ახლა შოტლანდიელებთან თამაშზე უნდა ვიფიქროთ.

— შოტლანდიელები ჩვენი ჯგუფის ლიდერები არიან, შენ წლების განმავლობაში შოტლანდიაში, „რეინჯერსში“ თამაშობდი, სადაც მწვრთნელად ამჟამად სქოთების თავკაცი ალექს მაკლიში გყავდა. ამ თამაშისთვის განსაკუთრებულად ემზადები?

— შოტლანდიელებს ძლიერი გუნდი რომ ჰყავთ, მათი ლიდერობაც ადასტურებს. ძნელი თამაში იქნება. მე ყველა თამაშისთვის განსაკუთრებულად ვემზადები. ისე კი, რა თქმა უნდა, მოუთმენლად ველი შოტლანდიელებთან შეხვედრას. ჩემი მწვრთნელი იყო მაკლიში და რამდენიმე ყოფილი თანაგუნდელიც გამოდის შოტლანდიის ნაკრებში — მათთან გაჯიბრება საინტერესოა. თანაც, 2500 გულშემატკივარი ჩამოჰყვებათ.

— რა შანსები აქვს ჩვენს ნაკრებს?

— შოტლანდიელებს უსიკვდილოდ მოგება სჭირდებათ. მათ უნიკალური შანსი აქვთ, ევროპის ჩემპიონატზე ითამაშონ და თბილისში მოსაგებად მოდიან. თუ ყველანი ბოლომდე დავიხარჯებით, მოგებასაც შევძლებთ, მაგრამ რატომღაც ბოლო წუთამდე მობილიზებულნი არ ვართ და ამის გამო უკვე რამდენჯერმე დავისაჯეთ.

— ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა. მათზე რას იტყვი?

— კარგის მეტს ვერაფერს. ნიჭიერები არიან და ყველაფერი წინ აქვთ. მთავარია, შრომა არ დაიზარონ.

— ეს შესარჩევი ციკლი მალე დამთავრდება და ამ გადასახედიდან მომდევნო ციკლში რამდენად რეალურია, ჩვენმა ნაკრებმა წარმატებას მიაღწიოს?

— რა გითხრათ... ახლანდელ ნაკრებს რომ გადავხედოთ, ბევრი მოთამაშე მალე წავა ფეხბურთიდან და მათი შემცვლელი ვინ არის? ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი ძნელია...

— კლუბზეც გკითხავ: „ბლექბერნში“ არ გათამაშებენ და რას აპირებ?

— რამდენიმე შეხვედრაში სათადარიგო ვიყავი, თუმც თამაშმა არ მომიწია. იანვრამდე გავჩერდები და მერე, არ გამოვრიცხავ, რომ სხვაგან გადავიდე.

**ნუკრი ლოლაძე**

# გერმანული სასტვენი

საქართველო — შოტლანდიის 17 ოქტომბრის ევროშესარჩევ მატჩს გერმანელები იმსაჯებენ: არბიტრი კნუტ პირხერი, თანამსაჯები იან-ჰენდრიკ სალვერი და ტორსტენ შიფნერი, მეოთხე მსაჯი პეტერ სიპელი.

უეფა-ს მსაჯთა დამკვირვებელი ბელგიელი გი გუტალსი იქნება, ხოლო უეფა-ს დელეგატის მოვალეობას შვეიცარიელი მიშელ პრალონგი შეასრულებს.

**ბაჩა შალამბერიძე**

### ინგლისი

I ლიგა. XI ტური

ლუთონი 4:1 ნორთჰემპტონი

### შვედეთი

სუპერეტა. XXVIII ტური

იონკოპინგი 1:1 სუნდსვალი

### ირლანდია

პრემიერლიგა

XXIX ტური

ბრეი 1:1 დერი

ლონგფორდი 1:1 უოტერფორდი

### მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. საკვალიფიკაციო წრე

მაკაო 1:7 ტაილანდი



ბაჩო კორიძის ფოტო

# დამალეთ სპირტიანები!
## გიჟმაჟები თბილისს ნაწილ-ნაწილ მოადგნენ

**კახეთში** მსმელ კაცს „ღვინის ბურნას“ ეძახიან. შოტლანდიელები ღვინოს იმდენად არა, მაგრამ უფრო სპირტიან სასმელს ისე ყლურწავენ, როგორც თევზები წყალს. მით უმეტეს, თუ ლაპარაკია თავზეხელაღებულ გულშემატკივრებზე, რომლებიც საზღვარგარეთაც არ აკლდებიან საყვარელ გუნდს.

ხვალ საქართველო — შოტლანდიაა. სქოთები ერთნახევარ ნაბიჯში არიან უდიდეს წარმატებასთან — არა, ევრო თუ მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრჯერ ყოფილან, მაგრამ ამ ჯგუფიდან გასვლა, რომელშიც საფრანგეთი და იტალია არიან?!

სქოთებს თბილისში 2500 გულშემატკივარი მოჰყვებათო, ვწერდით. აქედან დაახლოებით 500 კაცი გუშინ უკვე თბილისის ქუჩებში დადიოდა.

რა ზომები მიიღო უსაფრთხოებისთვის ქართულმა მხარემ?

ამის გასარკვევად, პირველ რიგში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს დავუკავშირდით...

— რა თქმა უნდა, უსაფრთხოების მიზნით, საქმის კურსშია შინაგან საქმეთა სამინისტრო. ჩვენ მათთან მუდმივი კონტაქტი გვაქვს. პირველ რიგში, უნდა შეწყდეს სპირტიანი სასმელების გაყიდვა იმ ადგილებში, სადაც შოტლანდიელი ფანები იქნებიან თავშეყრილნი...

...ისინი მთელ ქალაქში არიან მოდებულნი, სხვადასხვა სასტუმროში დაბინავდნენ. მგონი, სასტუმრო არაა დარჩენილი, შოტლანდიელები რომ არ ცხოვრობდნენ. როგორც ვიცი, მათი ფანების უმეტესობა ხვალ ჩამოვა...

...ცხადია, შოტლანდიელი გულშემატკივართათვის სტადიონზე ცალკე ადგილებია გამოყოფილი. ისინი დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე, მე-6-მე-7 სექტორს დაიკავებენ.

ჩვენ კი გუშინ თბილისში გავიარეთ და ტრადიციული კელტებით შემოსილ შოტლანდიელ ფანებსაც შევხვდით — ლუდს წრუპავდნენ და ქალაქს ათვალიერებდნენ, რამდენიმეს გამოველაპარაკეთ და პატარ-პატარა მოკრძალებული პროგნოზებიც მოვისმინეთ...

აშკარაა, სქოთებმა საქართველოზე ბევრი არაფერი იციან და სხვანაირად არც ველოდით.

„კლაუს ტოპმიოლერი ვიცით. საქართველოს ნაკრები გლაზგოში თამაშისას გავიცანით. მანამდე კი თქვენიანებიდან მხოლოდ შოთა არველაძე ვიცოდით.“

შოტლანდიელებს თბილისი მოეწონათ, ოღონდ ნამეტანი ცხელაო, იძახდნენ და აკი, ლუდს ლუდზე სვამდნენ...

„პროგნოზი? შეიძლება, გაგვიჭირდეს, მაგრამ... 2:0-ს მოვიგებთ“ — გვითხრა ერთმა ფანმა.

გულშემატკივართა ერთ ჯგუფს კი რატომღაც საფრანგეთი არ ეპიტნავა, ესენი უნდა ჩარჩნენ ჯგუფშიო. როცა ვუთხარით, ამაში ეჭვი გვეპარებაო, ხელი ჩაიქნიეს, მაშინ იტალიელებს ჩავტოვებთ, მთავარია, რომ ჩვენ გავალთ ევროპის ჩემპიონატზეო.

რაღა ვთქვათ, ცოტა რამ საქართველოს ნაკრებსაც ხომ არ ვკითხოთ?

**ილია ნანობაშვილი**



ბაჩო კორიძის ფოტო

# საქართველო კი არა, ბრაზილია დაგვიდგეს
## შოტლანდია დანაკლისით და დიდი გულით მოდის

**დღეს** დილით შოტლანდიის ნაკრები დარჩენილი „ორი ფინალიდან“ პირველის სათამაშოდ თბილისში ჩამოდის. ჩვენი ჯგუფის ბოლოლათა მდგომარეობიდან გამომდინარე, ადვილი ასახსნელია: მთავარი მატჩი 17 ნოემბერს იქნება გლაზგოში, სადაც შოტლანდია იტალიას მასპინძლობს.

მაგრამ, ნახეთ რამდენია დამოკიდებული თბილისურ მატჩზე: თუ სქოთებმა მოიგეს, იტალიასთან ფრეც ეყოფათ ჯგუფიდან გასასვლელად, ხოლო თუ ვერ მოიგეს, მაშინ გლაზგოში ფრე „სკუადრას“ აძლევს ხელს.

ასე რომ, ხვალ ქართველები თუ სენსაციას მოახდენენ, იტალიას დიდ საქმეს გაუკეთებენ.

„მამაცი გულების“ თავკაც ალექს მაკლიშს კი ორი წამყვანი ფეხბურთელი ვერ მოჰყავს თბილისში: მცველი ალან ჰატონი და ნახევარმცველი სკოტ ბრაუნი. ისინი უკრაინასთან 13 ოქტომბრის ძირითადში იყვნენ, თუმც ტრავმის გამო შეცვალეს.



ამათი თამაში გუშინწინ საღამოს გამოირიცხა, გუშინ კი მაკლიშს კიდევ დაემატა თავსატეხი. ლაზარეთი ფორვარდმა გარი ოკონორმა და გარემარბმა ლი მაკკალოხმა შეავსეს — თბილისში ვერც ისინი ითამაშებენ.

გარდა ამისა, საეჭვოა მარცხენა მცველ გარი ნეისმიტის თამაშიც, ხოლო ამდენი ტრავმირებულის ნაცვლად სქოთთა მწვრთნელმა ერთი ახალი ფეხბურთელი მიიწვია: „რედინგის“ ნახევარმცველი გრემ გარტი. პლუს, თბილისში, შესაძლოა, ითამაშოს ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ მარჯვენაფლანგელმა დარენ ფლეტჩერმა.

ამასობაში, შოტლანდიელთა საუკეთესო ფეხბურთელი, „ევერტონის“ ჯეიმს მაკფადენი ამბობს: „დღეისთვის მსოფლიოში მხოლოდ ბრაზილია თუ არის ის ნაკრები, ვინც ჩვენ კონკურენციას გაგვიწევს. დიდებულია, რომ ევროპის ჩემპიონატზე კაკას და რონალდინიოს წინააღმდეგ არ მოგვიწევს თამაში. დანარჩენ ნაკრებებთან ყოველთვის მზად ვართ, ჩვენი მაღალი კლასი დავამტკიცოთ და მოვუგოთ“.

როგორც ხედავთ, მაკფადენი უკვე „ევროპის ჩემპიონატზეა“. მოდი და, ამის შემდეგ დააჯერე ეს ფეხბურთელი, რომ საქართველოს ნაკრები პრობლემებს შეუქმნის...

**ილია ნანობაშვილი**

# შოტლანდიის ნაკრების თბილისური განრიგი

**17 ოქტომბერს** საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ევროშესარჩევ მატჩში შოტლანდიის ნაკრებს უმასპინძლებს.

შოტლანდიის დელეგაციის განრიგი შემდეგნაირია:

**16 ოქტომბერი, სამშაბათი**

12.30 — შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალექს მაკლიშის და ერთ-ერთი ფეხბურთელის პრესკონფერენცია „შერატონ მეტეხი პალასში“

19.00 — შოტლანდიის ნაკრების ვარჯიში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.

ვარჯიში დახურულია. ჟურნალისტებისთვის ღიაა მხოლოდ საწყისი 15 წუთი.

**17 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

21.00 — საქართველო — შოტლანდია

23.00 — მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია

## ფან-კლუბის წევრთა საყურადღებოდ!

17 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შოტლანდიის ნაკრებს უმასპინძლებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბის წევრებმა მატჩის ბილეთების მისაღებად 12 საათიდან 17 საათამდე უნდა მიმართონ ფან-კლუბის ოფისს.

ბილეთის მისაღებად აუცილებელია წევრობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა.

## ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

აქტობე. 16 ოქტომბერი. ცენტრალური

### ყაზახეთი — საქართველო

მსაჯები: გ. მიხალიევიჩი, დ. ვუჟოვიჩი, ნ. რაზიჩი, პ. რადოვანოვიჩი (ყველა ჩერნოგორია);
უეფას დელეგატი: ზ. ჯოკიჩი (სერბეთი)

# სეგრტმა ოცეული მოხაზა

## გავამყაროთ ყაზახების აუტსაიდერობა



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები დღეს ყაზახეთში შესარჩევი ჯგუფის აუტსაიდერს შეხვდება — პეტარ სეგრტის გუნდი გუშინ გაემგზავრა შუა აზიაში. თამაში კი აქტობეს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება.

ყაზახების აუტსაიდერობაზე კი ვთქვით, მაგრამ ქართველ 21-წლამდელებსაც ოდენ 3 ქულა აქვთ ოთხ მატჩში და ისიც, სწორედ ყაზახებს მოუგეს რუსთავში (2:1).

სეგრტმა შუა აზიაში ვერ წაიყვანა დანიური „ვიბორგის" მცველი გიორგი ფოფხაძე, ვისაც მცირე ტრავმა აწუხებს. ასევე ვერ იყვნენ ჯანზე „დინამოს" შემტევი გიორგი მერებაშვილი და იენის „კარლ ცაისის" ფორვარდი რევაზ ბარაბაძე, თუმც ისინი ყაზახეთში არიან.

სეგრტის 20-კაციანი სია ასეთია:

***მეკარეები:*** *გიორგი ლორია (დინამო), რევაზ თევდორაძე (მერანი);*

***მცველები:*** *უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი (ორივე დინამო), გიორგი ნავალოვსკი, გიორგი ჩიხრაძე (ორივე ოლიმპი), გიორგი ელბაქიძე (ამერი), გიორგი თავბერიძე (სიონი);*

***ნახევარმცველები:*** *შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი მერებაშვილი, სანდრო კობახიძე, ნიკოლოზ ფირცხალავა (სამივე დინამო), თემურ აფრიამაშვილი (მესხეთი), ირაკლი ჩირიკაშვილი (სპარტაკი), კახა მახარაძე (ბათუმი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია);*

***თავდამსხმელები:*** *ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია), ლადო დვალიშვილი (ოლიმპი).*

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

# ჰაინც ტოპმიოლერმა გამოცდილებაც თქვა

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებს 17-24 ოქტომბერს ევრო 2008-ის პირველი შესარჩევი ეტაპი ელის. როგორც იცით, საქართველო-ჰოლანდია-ნორვეგია-ლატვიის ჯგუფის მატჩები თბილისში გაიმართება, ამდენად ჰაინც ტოპმიოლერის ნაკრებს კარგი წინაპირობა აქვს საიმისოდ, რომ ელიტ-რაუნდში გავიდეს.

ბოლო ორი წელია, ქართველი 19-წლამდელები პირველ შესარჩევ ბარიერს გადიან, მაგრამ ელიტ-რაუნდიდან ვარდებიან.

ჰაინც ტოპმიოლერმა ამ მატჩებისთვის 18-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც ოთხი ისეთი ფეხბურთელია, ეროვნულ ნაკრებშიც რომ უთამაშია — გიორგი მაკარიძე, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და ალექსი ბენაშვილი. გარდა ამისა, 21-წლამდელთა ნაკრებში ნათამაშები ბიჭებიც არიან სიაში, ასე რომ, გამოცდილების პრობლემა არ უნდა არსებობდეს...

***მეკარეები:*** *1. როინ კვასხვაძე (ზესტაფონი, 31.05.89), 12. გიორგი მაკარიძე (დინამო, 31.03.90);*

***მცველები:*** *2. ვახტანგ ვაჩიბერაძე (ტორპედო, 07.06.89), 3. გიორგი ხუმარაშვილი (ზესტაფონი, 24.08.89), 4. ჯემალ გაბუნია (ტორპედო, 09.11.89), 5. ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი, 03.09.89), 6. მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი; 01.05.89);*

***ნახევარმცველები:*** *7. ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი, 20.03.89), 8. თამაზ ჩარგეიშვილი (გაგრა, 12.06.89), 10. ლევან ყენია (შალკე, გერმანია, 18.10.90), 13. ზაქარია ბეგლარიშვილი (ოლიმპი, 30.04.90), 14. თორნიკე თარხნიშვილი (სპარტაკი, 30.06.90), 15. დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია, 22.02.89), 16. ნიკოლოზ მაისურაძე (ოლიმპიკი, 29.05.89);*

***თავდამსხმელები:*** *9. გიორგი ივანიშვილი (ციურიხი, შვეიცარია, 18.10.89), 11. ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია, 24.03.90), 17. ლევან ბლაგიძე (ვიქტორია, პორტუგალია, 22.03.89), 18. ირაკლი შეყილაძე (ბაია, 17.09.92).*

**ილია ნანობაშვილი**

# ბაიას ბარსელონური მოგება-წაგება

**სკოლბურთში** პეპსის თასის მფლობელი ზუგდიდის „ბაია" ბარსელონაშია და კოსტა ბრავას თასზე ორი მატჩიც გამართეს. 12-წლამდელთა ბავშვებმა დანიურ გუნდებთან ითამაშეს: პირველი 2:1 მოიგეს, მეორე კი 1:3 დათმეს.

დღეს, თბილისის დროით, 19 საათზე „ბაია" შვედეთის გუნდ „ტაბუსთან" ითამაშებს.

ეს რაც შეეხება ჯგუფურ ეტაპს, ნახევარფინალი და ფინალი კი 18 ოქტომბერსაა.

ტურნირის შემდეგ ქართველი ბავშვები ბარსელონის ღირსშესანიშნავ ადგილებს მოინახულებენ.




ზუგდიდის „ბაია" ასეთი შემადგენლობითაა კატალონიაში წასული: *ნიკოლოზ ხოჭოლავა, დავით გაბუნია, დავით ქირია, გიორგი ბულეხკირია, გელა ქორთუა, არჩილ მესხი, დავით ფირცხალავა, ცოტნე სამუშია, ირაკლი გუბელაძე, რევაზ ფარცვანია, ლუკა კობერიძე, ზურაბ ჩხაიძე, სანდრო კვესელიძე, მიხეილ მესხი, გიორგი ლომთაძე.*

*მწვრთნელი: გიორგი გუბელაძე; თანაშემწეები: გრიგოლ ლომთაძე, მალხაზ მესხი.*

ქართულ დელეგაციაში კი არიან პროფლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჭალიანი, ეხოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შოთა ბაქრაძე და ფედერაციის აღმასკომის წევრი ზაზა ციციშვილი.

**ილია ნანობაშვილი**



რევაზ ბარაბაძე

# თამაზაშვილი აირჩიეს, ბარაბაძე გადაიყვანეს

**კიდევ** ერთი ქართველი შეემატა იენის „კარლ ცაისს". არა, ფეხბურთელი არ გეგონოთ, ცოტა ხნის წინ კლუბის დირექტორატის წევრად გოჩა თამაზაშვილი აირჩიეს.

თამაზაშვილი გუშინ „მიხეილ მესხზე" ეროვნულ ნაკრების ვარჯიშს ადევნებდა თვალყურს და „კარლ ცაისში" მოთამაშე ქართველებზეც მაშინ ვკითხეთ...

„ილია კანდელაკი ეროვნულ გუნდშია გამოძახებული, გიორგი სეთურიძეს ტრავმა აქვს და მკურნალობს, გიორგი ონიანი ნელ-ნელა ეჩვევა გუნდს, რევაზ ბარაბაძე კი ახლახანს მეორე გუნდიდან პირველში გადაიყვანეს და ახალგაზრდულ ნაკრებიდან რომ დაბრუნდება, უკვე ძირითად გუნდში ითამაშებს" — გვითხრა თამაზაშვილმა.

**ნუგზარი ლოლაძე**

# შემცვლელის შემცვლელი შეიცვალა

**საქართველოს** ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერ თბილისის „მერანს" ცოტა ხნის წინ გუნდიდან წასული დავით ეჯიბიშვილი დაუბრუნდა, რომელიც ისევ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს.



დავით ეჯიბიშვილი

მოგეხსენებათ, „მერანის" თავკაცმა თამაზ კოსტავამ გულის ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ ეჯიბიშვილი მის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ახალციხის „მესხეთთან" მატჩის წინ მოულოდნელად გუნდი დატოვა და მის ნაცვლად თენგიზ კაციამ უხელმძღვანელა „მერანს".

**ნუგზარი ლოლაძე**

# სიონის მეორე მარცხი

**ბოლნისის** „სიონმა" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და რუსთავის „ოლიმპთან" სტუმრად 0:1 დამარცხდა.

მასპინძელთაგან მატჩის ერთადერთი გოლი ახალგაზრდა დევდარიანმა გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ სამიოდ დღის წინ ბოლნისელებმა შინ თბილისის „ამერთან" 0:3 წააგეს.

**ნუგზარი ლოლაძე**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი

### პირველი ლიგა. 9 ტური

#### აღმოსავლეთი

ოლიმპიკი 6:1 ნ. დინ-მერანი 2
ჩიხურა 1:0 ამერი 2
კახეთი 1:1 გაგრა
ვიტ ჯორჯია 2 4:1 მეშაქრე
დინამო 2 — ოლიმპი 2

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 9 | 5 | 3 | 1 | 18:15 | 18 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 9 | 4 | 4 | 1 | 12:4 | 16 |
| მეშაქრე | 9 | 5 | 1 | 3 | 18:13 | 16 |
| ამერი 2 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:12 | 14 |
| დინამო 2 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | 12 |
| ოლიმპიკი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:13 | 12 |
| ჩიხურა | 9 | 3 | 3 | 3 | 9:13 | 12 |
| ოლიმპი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:7 | 9 |
| კახეთი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:14 | 9 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 6:22 | 1 |

#### დასავლეთი

სამტრედია 2:2 ხობი
კოლხეთი 1:2 მარტვილი
უნივერსიტეტი 2:1 ფაზისი
მალაროელი 5:2 მეშახტე
ზესტაფონი 2 — ტორპედო 2

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 9 | 7 | 2 | 0 | 20:6 | 23 |
| მეშახტე | 9 | 7 | 0 | 2 | 19:15 | 21 |
| მარტვილი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:6 | 15 |
| ტორპედო | 8 | 3 | 3 | 2 | 13:9 | 12 |
| კოლხეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 12 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 11 |
| უნივერსიტეტი | 9 | 3 | 1 | 5 | 7:9 | 10 |
| ხობი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | 8 |
| ფაზისი | 9 | 2 | 2 | 5 | 14:18 | 7 |
| სამტრედია | 9 | 0 | 2 | 7 | 9:25 | 2 |



# უსაზიზღრესი კაცი

**ვერ გეტყვით,** ვინ შეუსწრო, მაგრამ, როდესაც ჟოზე მაურინიუმ ქუდი დაიხურა და „ჩელსის“ ოფისიდან გავიდა, რომან აბრამოვიჩმა ალბათ შვებით ამოისუნთქა. ეს იყო წუთი, როდესაც მილიარდერის დაუსრულებელი და საშინლად დამღლელი წინააღმდეგობა უკიდურესად ამბიციურ პორტუგალიელ მწვრთნელთან, როგორც იქნა, დამთავრდა, მაგრამ... მის მაგივრად რა კაცი მოჰყავდა, უფრო მეტად არ უნდა დაფიქრებულიყო, ამბობენ მიმომხილველები და თითს ჰოლანდიელი ჰენკ ტენ კატესკენ იშვერენ.

რა კაცია ეს ჰოლანდიელი ჰენკ ტენ კატე? იგი გახლავთ ადამიანი, რომელსაც მეტსახელად ვულკანს ეძახიან, რომელმაც კარიერაში რვა სხვადასხვა კლუბი მოიარა და ყველგან იჩხუბა. საქვეყნოდ ყოფილა ცნობილი, რომ ტენ კატე მარად მოთუხთუხე ბუნების გვარიანად უხეში ადამიანია, რომელიც გასახდელში ვითარებას უმალ ძაბავს, ვიდრე ამშვიდებს და მის გამო მისი ერთი თანაშემწე ორი კვირით ფსიქიატრიულშიც კი მოხვდა.

არნემის „ვიტესის“ პრეზიდენტი ჩარლზ ალბერსი:

„მე ტენ კატეს მოხსნა იმიტომ მომიხდა, რომ მასა და ფეხბურთელებს შორის საძაგელი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. დღე ისე არ გავიდოდა, ტენ კატეს ვინმესთან საქმის ემოციური გარჩევა არ ჰქონოდა. როდესაც ის შენი გუნდის მწვრთნელია, უნდა იცოდე, რომ შენს განკარგულებაში ფეხბურთის კარგი მცოდნე, მაგრამ ვულკანივით სახიფათო ადამიანია“.

ასე და ამგვარად, მიმომხილველები წერენ, რომ რომან აბრამოვიჩმა „განსაკუთრებული“ „აფეთქებულით“ შეცვალა. ამ „აფეთქებულმა“ კი ბოლო დღეები „ჩელსის“ გაცნობაში გაატარა, წინ და უკან ავრაამ გრანტთან ერთად დადიოდა, მასთან სადილობდა და ერთხელ რომან აბრამოვიჩსაც ესაუბრა.

მაგრამ გრანტთან სადილი და აბრამოვიჩთან საუბარი ერთია, ხოლო ოთხშაბათის სანაკრებო თამაშების შემდეგ კობჰემის ბაზაზე „ლურჯი“ სუპერვარსკვლავები რომ დაბრუნდებიან და მათთან ურთიერთობის დამყარება გახდება საჭირო — მეორე. მოკლედ, ყველაფერი რამდენიმე დღეში დაიწყება, როდესაც ლონდონში „ვიტესის“ ფეხბურთელებისგან ფრიად განსხვავებული მილიონერები დაბრუნდებიან.

„აბრამოვიჩს „ჩელსიში“ მეგობრების გასაჩენად კი არ დავუპატიჟებივარ, თამაშების მოსაგებად დამიძახა — თითქოს წინასწარ ჩხუბობს ტენ კატე — მე მწვრთნელი ვარ და, ბუნებრივია, ჩემებურ შეზღუდვებს შემოვიღებ. ეჭვი ნურავის შეეპარება, საქმეს ისე დავაყენებ, რომ ბოსი მე ვიქნები“.

53 წლის ტენ კატეს 17-წლიან სამწვრთნელო კარიერაში ჯილდოები, დიახაც, მოუგია, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სადაც მისულა, ყველა კლუბში კონფლიქტი ჰქონია. განსაკუთრებით ცუდი ისტორია „ბრედაში“ გადახდა, სადაც თავისი შტაბის ერთ-ერთ მწვრთნელს წაეკიდა.

„ბრედას“ ტექნიკური დირექტორი იან რადი:

„ტენ კატეს ხელმძღვანელობით ტრაგიკული სეზონი გვქონდა. მან ჩვენს ერთ-ერთს მწვრთნელ კორ ბლოკთან და ფიზიოთერაპევტ იან ლუკსთან პირადი შუღლი გააჩაღა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მან და კორ ბლოკმა კლუბის ავტოსადგომზე ერთმანეთს მუშტიც დაჰკრეს, ხოლო რაც შეეხება იან ლუკსს, ის ყოველდღიურმა დაძაბულობამ ისე დათრგუნა, რომ ორი კვირით ფსიქიატრის დახმარებაც კი დასჭირდა. ტენ კატეს ჩვენი გუნდიდან წასვლის შემდეგ ის კიდევ ორი წლის განმავლობაში დადიოდა ფსიქიატრთან სეანსებზე“.

ტენ კატეს არც „ბრედას“ ფეხბურთელებთან ჰქონდა უკეთესი ურთიერთობა.

ნახევარმცველი ჯეფრი ვან ასი:

„ფეხბურთისთვის ტენ კატეზე უკეთესს ნურავის ინატრებთ, მაგრამ პიროვნულად, საშინელებაა, ყველა ფრონტზე იბრძვის. ფიზიოთერაპევტის ფსიქიატრიულში წაყვანის შესახებ გაზეთში რაღაც რომ ვთქვი, მეორე დღეს ტენ კატე მოვიდა და ის გაზეთი სახეში მესროლა. „ფაქ ოფ“ და შეუერთდი შენს მეგობარს! მიღრიალა მან“.

ტენ კატეს ნაირფერადი სამწვრთნელო კარიერა „გოუ ეჰედ იგლზში“ დაიწყო, სადაც მან პირველი კაცი გადაიმტერა.

ფრიც კობრახი: „მაშინ მწვრთნელის თანამდებობიდან სეზონის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე წავედი. გუნდმა ტიტული მოიგო, მთელი დამსახურება კი ჰენკმა მიიწერა. არადა, მაშინდელ „იგლზს“ სამი წელიწადი ვაშენებდი...

...საერთოდ, გამარჯვების მიწერა მას კარგად ეხერხება. დღენიადაგ ასე იყო, თუ მოვიგებდით, წინა პლანზე გამოვიდოდა და თავს მოიწონებდა, ხოლო წაგების შემთხვევაში, სადღაც ბუჩქებში უნდა გეძებნათ“.

შემდეგ ტენ კატე „ჰერაკლესში“ წავიდა და ახლა იქ გადაიმტერა ხალხი. კაპიტანი ჰანს ვოსკამპი:

„უდავოა, ის, როგორც მწვრთნელი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ როგორც ადამიანი, საშინელებაა. ჩვენს გუნდში სულ ერთი და იგივე მეორდებოდა. უცნაური ამბები ტრიალებდა — ტენ კატეს ყველა ფეხბურთელთან კონფლიქტი მოსდიოდა“.

ტენ კატეს შემდეგი სადგური როტერდამის „სპარტა“ გახლდათ. თავდამსხმელი დენის დე ნოოაერი:

„ამ კაცს ყველა გუნდში ერთი და იგივე მოსდის. პირველ წელიწადს თითქოს ყველაფერი რიგზეა, მეორე წელიწადს კი უკლებლივ ყველა ფეხბურთელთან პრობლემა აქვს. თუ მოვიგებდით, თავს იქებდა, ხოლო თუ დავმარცხდებოდით, ჩვენ, ფეხბურთელებს გვლანძღავდა“.

მაგრამ ბუნებაში ყველაფერი ხდება, მათ შორის, საოცრებებიც — ბუდაპეშტის მტკ-ში ტენ კატე თავად გახდა შესაცოდი. დიახ, მან არათუ ვინმე გაამწარა, ორი წლის მუშაობის შემდეგ თავად გამოიქცა იქიდან თავქუდმოგლეჯილი, რადგან... როგორც მისი აგენტი ბობ მასკაანტი ამბობს, უნგრელები რასისტები არიან, ჰენკ ტენ კატე კი ფერადკანიანია.

მტკ-სგან ტენ კატე ისევ სამშობლომ, კერძოდ კი, „ბრედამ“ იხსნა, სადაც უკვე თავისებურად გაშალა აფრები და, როგორც ზემოთ გიამბეთ, ერთს ავტოსადგომზე მუშტი სთხლიშა, მეორე კი ფსიქიატრიულში გაუშვა სამკურნალოდ.

და, ყველაფრის მიუხედავად, ფრანკ რაიკარდმა ჰენკ ტენ კატე „ბარსელონაში“ თავის ასისტენტად წაიყვანა, სადაც ის რომან აბრამოვიჩმა შენიშნა. და კერძოდ, როდის და როგორ შენიშნა არ გაინტერესებთ? როდის და 2005 წელს, „კამპ ნოუზე“ „ბარსელონასა“ და „ჩელსის“ შეხვედრის დროს. ეს სწორედ ის შეხვედრაა, რომლის შემდეგაც ჟოზე მაურინიუმ იჩივლა, შესვენებისას ფრენკ რაიკარდი მსაჯ ანდერს ფრისკს რაღაცას ელაპარაკებოდაო. შემდეგ მსაჯის ოთახის წინ ტენ კატე მაურინიუს რამდენიმე ასისტენტს ეჯაჯღანა და, როგორც ამბობენ, თვით „განსაკუთრებულსაც“ კი არ შეეპუა. ვინ იცის, აბრამოვიჩს სწორედ მაურინიუს გალანძღვისთვის ჩაუვარდა გულში.

ჯერჯერობით კი...

„მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან მუშაობის საშუალება ადამიანს ცხოვრებაში შეიძლება ერთხელ მოგეცეს და ამის ხელიდან გაშვება არ შეიძლება“ — ამბობს ჰენკ ტენ კატე.

**პაპუნა ძიძია**

# ფრთხილად, მოფრინავენ!

## შემაძრწუნებელი საფრთხე პრემიერლიგას ალ ქაიდასგან

**ინგლისური** პრესა საშინელებას იუწყება: პრემიერლიგის ერთ-ერთი თამაშის მსვლელობისას „ალ ქაიდა“ პირდაპირ ეთერში დიდ აფეთქებას გეგმავს. ეს ცნობა ჟურნალისტებს სამთავრობო მოხსენებიდან ამოუკითხავთ.

უფრო ზუსტად, ამ შემაძრწუნებელი ინფორმაციის პირველწყარო უშიშროების მინისტრი ლორდი ვესტი გახლავთ. ის ბრძანებს, რომ მართალია, ბოლო ხანს, ანტიტერორისტულ საქმეებზე დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ამ სისტემაში მაინც შეინიშნება სერიოზული ბზარები და ამ ბზარებით „ალ ქაიდას“ მკვლელებს შეუძლიათ სარგებლობა.

აღსანიშნავია, რომ სტადიონების გარდა ტერორისტების სიაში შეტანილია აგრეთვე რამდენიმე დიდი ბრიტანული სავაჭრო ცენტრი, მათ შორის არის კენტში, კერძოდ, გრინჰითში 1999 წელს გახსნილი „ბლუუოთერი“, რომლის საერთო ფართობი 155 700 კვადრატული მეტრი გახლავთ და ნორფოლკში მდებარე „ბექტონ გაზ ტერმინალი“.

უსაფრთხოების სამსახურის მავანმა მაღალჩინოსანმა განაცხადა:

„ჩვენმა დაზვერვამ მოიპოვა ინფორმაცია, რომ „ალ ქაიდა“ ტერორისტულ აქტს ისეთი თამაშის დროს გეგმავს, რომელიც ტელევიზიით გადაიცემა. ნათელია, რომ საუბარია პრემიერლიგის პირველობაზე, ხოლო აქტს, სავარაუდოდ, თვითმკვლელი პილოტი განახორციელებს. ის თვითმფრინავს პირდაპირ სტადიონის რომელიმე ტრიბუნას დაასჯახებს. გვინდა განვაცხადოთ, რომ, მართალია, ზოგი სტადიონის დაცვა მართლაც კარგად არის მოწყობილი, ინგლისში ჯერ კიდევ არის არაერთი სარბიელი, რომელიც ცუდად გახლავთ დაცული“.

კომენტარი ჰკითხეს უსაფრთხოების საკითხებში გამოცდილ პატრიკ მერსერსაც, რომელიც თავის დროზე პრემიერ მინისტრ გორდონ ბრაუნის მრჩეველი გახლდათ.

მან თქვა: „პირდაპირ ეთერში დიდმსხვერპლიანი აქცია ტერორისტების ოდინდელი ოცნებაა. ჩვენი მტრები ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებენ“.

აღსანიშნავია, რომ ლონდონის პოლიციის შეფმა სერ იან ბლერმაც დაადასტურა, რომ ბოლო დროს ტერორისტებმა ინგლისთან დაკავშირებული გეგმები გაახშირეს.

**პაპუნა ძიძია**




## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი. VIII ტური

ალბასეტე — სელტა 1:1; ალავესი — ერკულესი 2:1; ნუმანსია — სოსიედადი 2:1; პოლი ეხიდო — კადისი 1:0; ლას პალმასი — სევილია B 0:1; კასტელიონი — ტენერიფე 1:1; კორდობა — სალამანკა 1:1; ეიბარი — გრანადა 2:0; სპორტინგი — ფეროლი 0:0; ხერესი — ხიმნასტიკი 2:2; ელჩე — მალაგა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 8 | 7 | 0 | 1 | 17:7 | 21 |
| ნუმანსია | 8 | 6 | 1 | 1 | 18:8 | 19 |
| სპორტინგი | 8 | 5 | 3 | 0 | 15:5 | 18 |
| სევილია B | 8 | 4 | 3 | 1 | 10:7 | 15 |
| ელჩე | 8 | 4 | 2 | 2 | 10:6 | 14 |
| ფეროლი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:9 | 14 |
| ეიბარი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:5 | 13 |
| სოსიედადი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:9 | 13 |
| კასტელიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 12 |
| ხიმნასტიკი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:10 | 11 |
| სელტა | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 11 |
| ერკულესი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:13 | 11 |
| კორდობა | 8 | 2 | 5 | 1 | 8:9 | 11 |
| ტენერიფე | 8 | 2 | 4 | 2 | 7:8 | 10 |
| ალავესი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | 9 |
| ხერესი | 8 | 1 | 4 | 3 | 10:14 | 7 |
| კადისი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:9 | 7 |
| პოლი ეხიდო | 8 | 2 | 1 | 5 | 8:17 | 7 |
| გრანადა | 8 | 1 | 3 | 4 | 10:14 | 6 |
| სალამანკა | 8 | 1 | 2 | 5 | 8:13 | 5 |
| ლას პალმასი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:16 | 4 |
| ალბასეტე | 8 | 0 | 2 | 6 | 4:13 | 2 |

## იტალია

### სერია B. IX ტური

ალბინოლეფე — პიზა 2:3; ასკოლი — კიევო 1:2; ფროზინონე — ბარი 4:1; გროსეტო — მესინა 0:0; ლეჩე — სპეცია 2:2; მოდენა — ჩეზენა 1:1; პიაჩენცა — ბოლონია 0:1; რავენა — ტრიესტინა 2:2; რიმინი — აველინო 2:2; ტრევიზო — ვიჩენცა 1:3. ბრეშა — *მანტოვა 23 ოქტომბერს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიზა | 9 | 7 | 0 | 2 | 15:12 | 21 |
| ბრეშა | 8 | 6 | 2 | 0 | 16:5 | 20 |
| ალბინოლეფე | 9 | 6 | 1 | 2 | 19:12 | 19 |
| ლეჩე | 9 | 5 | 3 | 1 | 12:5 | 18 |
| კიევო | 9 | 5 | 3 | 1 | 14:8 | 18 |
| ბოლონია | 9 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 18 |
| ფროზინონე | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| მოდენა | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 14 |
| რიმინი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:11 | 13 |
| ასკოლი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:9 | 12 |
| მესინა | 9 | 3 | 3 | 3 | 7:10 | 12 |
| მანტოვა | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 11 |
| ბარი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:15 | 10 |
| ტრიესტინა | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 10 |
| გროსეტო | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | 9 |
| პიაჩენცა | 9 | 3 | 0 | 6 | 5:11 | 9 |
| ვიჩენცა | 9 | 1 | 5 | 3 | 11:14 | 8 |
| რავენა | 9 | 2 | 2 | 5 | 11:17 | 8 |
| სპეცია | 9 | 2 | 1 | 6 | 12:14 | 7 |
| ჩეზენა | 9 | 0 | 6 | 3 | 7:10 | 6 |
| ტრევიზო | 9 | 2 | 0 | 7 | 8:17 | 6 |
| აველინო | 9 | 1 | 1 | 7 | 5:15 | 4 |

# გაიხადეთ მაისურა და დაენახეთ ლიპის
## თევზაობს და ლაპარაკობს მაესტრო

რამდენიმე დღის წინ კუნძულ ელბასთან ახლოს საკუთარ იახტაზე თევზაობით გართულ მარჩელო ლიპის „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტმა ჩააკითხა. იახტაზე იყო 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების ექიმი და დონ მარჩელოს ახლო მეგობარი ენრიკო კასტელაჩიც. საუბარი მილანის „ინტერით“ დაიწყო, რომელმაც სერია A-ს 7 ტურის შემდეგ იმაზე 2 ქულით მეტი მოაგროვა, ვიდრე შარშან ამ დროს, თავის სარეკორდო სეზონში...



— „ინტერმა“ ეს სეზონიც ბრწყინვალედ დაიწყო...

— რაშია საიდუმლო? ტრავმებმა და დისკვალიფიკაციებმა რობერტო მანჩინი აიძულეს, ყველა ფეხბურთელი გამოეცადა, ახალგაზრდული გუნდის მოთამაშეებიც კი. თითქოს „ინტერს“ პრობლემები უნდა შექმნოდა, მაგრამ ამით დამატებითი ძალა მიიღო. შედეგად, „ნეროაძურის“ ახლა 25 ფეხბურთელი ჰყავს, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ გუნდში საჭირონი და სასარგებლონი არიან.

— და ზლატან იბრაჰიმოვიჩი ამ აწყვეტილი „ინტერის“ ლიდერია?

— მისი ნიჭი და შესაძლებლობები მიმდინარე სეზონში ძალიან კარგად ჩანს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ მან „ინტერ“ — პსვ-ს მატჩისას ჩაიდინა, როდესაც სცადა, მსაჯი დაერწმუნებინა, მისი თანაგუნდელი დავიდ სუაზო არ გაეგდო. ასე მოქცევა მხოლოდ ნამდვილ ლიდერს შეუძლია. იბრა იზრდება და იგი უკვე მზად არის იმისთვის, რომ მსოფლიოში პირველი ნომერი გახდეს.

— ამჟამად, იბრაჰიმოვიჩი სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირიცაა...

— ეს არის პასუხი ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ირწმუნებოდა, რომ ზლატანს ბევრი გოლის გატანა არ შეეძლო. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ „ინტერს“ მომაკვდინებელი თავდასხმა ჰყავს — იბრა, კრესპო, კრუზი, სუაზო და ადრიანო. ასეთივე ძლიერი წინა ხაზია „ბარსელონაში“ — ანრი, რონალდინიო, მესი და ეტოო.

— და თუ არის ისეთი ფეხბურთელი „ინტერში“, რომლის თამაშიც თქვენთვის აღმოჩენა გახდა ამ პირველი მატჩების შემდეგ?

— დიახ, ჟულიო სეზარი. ადრე იგი, უბრალოდ, კარგად თამაშობდა, ახლა კი უმაღლესი კლასის მეკარედ იქცა. ჟულიო სეზარმა თავისი ხასიათი წინა სეზონშიც გამოავლინა.

— ესე იგი, „ინტერი“ ფავორიტად რჩება და ვინ მოჰყვება კუდში „ნეროაძურის“?

— „რომა“, თანაც თითქმის ტოლსწორად. ლუჩანო სპალეტის გუნდი უკვე ყველაფრის მოსაგებად მზადაა. უყურეთ, როგორი თავდადებით იომა ახლახან „რომამ“ „ოლდ სტრაფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“? ამ დაუმსახურებელი მარცხის მერე კი „გლადიატორებმა“ სტუმრად 3:0 მოუგეს „პარმას“, რომელიც ახლა სერია A-ში ერთ-ერთი ყველაზე კარგად მომზადებული გუნდია. ამ ზაფხულს დედაქალაქელებმა სატრანსფერო ბაზარზე ფული ჭკვიანურად დახარჯეს და ამით საბოლოოდ დასრულდა შემადგენლობის დაკომპლექტება.

— ფრანჩესკო ტოტი ულაპარაკოდ „რომას“ ლიდერია?

— რა თქმა უნდა, იგი ხომ მეფე მიდასივითაა, რასაც შეეხება, ყველაფერს ოქროდ აქცევს. ძალიან დასანანი იქნება, თუ ფრანჩესკოს დარი ფეხბურთელი კარიერას ისე დაასრულებს, რომ „ოქროს ბურთი“ ვერ მოიპოვოს.

— „ოქროს ბურთის“ მოპოვებას წლეულს ყველა კაკას უწინასწარმეტყველებს...

— იგი ექსტრაკლასის მოთამაშეა, ეს უდავოა. თუმცა მე „ოქროს ბურთს“ პირლოს მივცემდი. არ არის მსოფლიოში კლუბი, რომელიც პირლოზე არ იოცნებებდა.

— პირლოს „მილანმა“ სეზონი საკმაოდ ცუდად დაიწყო...

— მიუხედავად ამისა, „როსონერი“ სერია A-ს ჩემპიონობის მესამე ფავორიტია. ამ გუნდს საოცარი ავტორიტეტი და შესაძლებლობები აქვს. „მილანის“ ნამდვილი ძალა რომ ნახო, საკმარისია, მის თავმოყვარეობას ოდნავ შეეხო. ასე მოხდა ახლახანაც, როცა გაკრიტიკებულმა „როსონერიმ“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციოს“ 5:1 მოუგო.

— კი მაგრამ, კარლო ანჩელოტის გუნდი „ინტერს“ უკვე 7 ქულით ჩამორჩება...

— შვიდქულიან სხვაობას გადამწყვეტს ვერ უწოდებ. თან რონალდო ბრუნდება, რომელიც „მილანის“ პრობლემებს თავდასხმაში სრულად მოაგვარებს. გახსოვთ, თუ როგორ ბრწყინვალედ თამაშობდა იგი წინა სეზონის ბოლო პერიოდში? იანვარში კი ალეშანდრე პატოც დაიწყებს თამაშს...

— ყველა არ არის დარწმუნებული, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერი პატო თავიდანვე სათანადოდ ათამაშდება...

— „მილანის“ რამდენიმე ფეხბურთელს ველაპარაკე და მითხრეს, რომ პატოს ახლავე შეუძლია გუნდისთვის სარგებლის მოტანა. მე მგონი, ამ ხალხის აზრი უფრო სანდოა, არა? ისინი უკვე რამდენიმე თვეა, პატოსთან ერთად არიან.

— „იუვენტუსი“ ამჟამად მეორე ადგილზეა...

— მომწონს ახლანდელი გუნდი, რადგან იგი ძალიან ჰგავს ჩემს პირველ, 1994 წლის „იუვეს“. ეს ორი სხვადასხვა დროის კლუბი გვანან იმით, რომ სულ მოგება უნდათ, სულ დაგეშილები არიან.

— ზაფხულში „იუვენტუსის“ მიერ გატარებულ სატრანსფერო პოლიტიკას ბევრი აკრიტიკებს...

— ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. ერთს კი გეტყვით: ვინჩენცო იაკუინტა, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად არ გამოიყურება, არა?

— ვინ არის დღევანდელ „იუვეში“ თქვენთვის აღმოჩენა?

— ანტონიო ნოჩერინო.

— ალესანდრო დელ პიერო ვერაფრით აზერხებს კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას და მას ხშირად ტოვებენ სათადარიგოთა სკამზე...

— მის შესახებ აზრი უკვე ბევრჯერ გამოვთქვი და ისევ მოკლედ გეტყვით: დელ პიერო არის კიდეც „იუვენტუსი“, ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

— „იუვენტუსს“ შეუძლია სკუდეტოს მოგება?

— რასაკვირველია, ამაზეც უკვე ბევრჯერ ვისაუბრე, ტურინელებს დიდ უპირატესობას ანიჭებთ ის, რომ წლეულს ევროტურნირებზე არ არიან. თუ „იუვე“ სტაბილურად გააგრძელებს თამაშს, სეზონის ბოლო პერიოდში სერია A-ს სხვა გრანდებზე მეტი ძალა დარჩება და სკუდეტოს მოგების რეალური შანსი ექნება.

— კიდევ თუ შეუძლია რომელიმე კლუბს იტალიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა?

— „ინტერის“, „რომას“, „მილანისა“ და „იუვენტუსის“ გარდა, კიდევ მხოლოდ ერთი ასეთი გუნდია — „ფიორენტინა“. მომწონს ფლორენციელთა ახალგაზრდული შემადგენლობა და „იების“ პრეზიდენტ ანდრეა დელა ვალეს პროექტი. მომწონს მათი მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი და ახლანდელი კრისტიან ვიერიც. „ბობო“ ლომივით იბრძვის და მალე ძველებურად სერია A-ს ვარსკვლავი გახდება. ასევე დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი რიკარდო მონტოლივოსადმი.

— მონტოლივო რობერტო დონადონიმ ნაკრებშიც გამოიძახა...

— და სწორადაც მოიქცა. მონტოლივო პირლოს მემკვიდრეა. იგი მთელ მოედანზე თამაშობს და დიდ სამუშაოს ასრულებს. სადღაც წავიკითხე, მონტოლივო ძალიან ჰგავს სტივენ ჯერარდსო. ასე რომ, მას ჩვენი ჯერარდიც შეგვიძლია ვუწოდოთ.

— იქნებ ჩამოთვალოთ მიმდინარე სერია A-ს აღმოჩენები...

— ნაპოლელები — ჰამშიკი და ლავეცი, პალერმოელი იანკოვიჩი, პარმელი ჩიგარინი, ლაციოელები — დე სილვესტრი და სიენელი გალოპა. მომწონს სერია A-ში დაბრუნებული „ჯენოა“, რომელშიც ისეთი ტალანტი გამოჩნდა, როგორიც მარკო ბორიელოა.

— და ანტონიო კასანოზე რას იტყვით?

— ვნახე, როგორ გაიხადა მან მაისურა გატანილი გოლის მერე — ეს კარგის ნიშანია. ამით კასანოს იმის თქმა უნდოდა, რომ ზედმეტი წონა აღარ აქვს. ეს რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი, კასანოს ნიჭზე საუბარიც ზედმეტია. ტექნიკური თვალსაზრისით მას ველარაფერს ასწავლი. „სამპდორია“ ჩინებული ადგილია ფეხბურთელისთვის, რომელმაც სირთულეების გადალახვა და უმაღლეს დონეზე დაბრუნება გადაწყვიტა.



## მუტუს მეფობა არ უნდა

ესპანური პრესა იუწყება, რომ მადრიდის „რეალს“ „ფიორენტინას“ რუმინელ ლიდერ ადრიან მუტუსთვის დაუდგამს თვალი. „სამეფო კლუბი“ მზად არის, 28 წლის ფეხბურთელში 18 მილიონი ევრო გადაიხადოს და მას ახლანდელ ხელფასზე ორჯერ მეტი დაუნიშნოს.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსიში“ გატარებული რთული პერიოდის, კოკაინზე ჩავარდნისა და სხვა პრობლემების შემდეგ მუტუ ძველებურად ათამაშდა და ახლა სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

„რეალი“ კი ერთადერთი კლუბი არ არის, რომელსაც ბოლო დროს რუმინელი დაუკავშირეს. იქამდე იყო „სიტი“, „ლიონი“, მოსკოვის „დინამო“... თუმცა, როგორც ჩანს, იგი ფლორენციაში თავს მშვენივრად გრძნობს და არსად წასვლას არ აპირებს.

ადრიან მუტუ: „აქ და ეროვნულ ნაკრებშიც ოჯახურ სიტუაციას მივაგენი, თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. ასე რომ, არაფრის შეცვლა არ მინდა და არსად წასვლას არ ვაპირებ. „ფიორენტინაში“ ბრწყინვალე ატმოსფეროა და თანაგუნდელებს კარგად ვუგებ. ფლორენცია კი საოცარი ქალაქია“.

**ბოჭი ჭანდელაკი**

### მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

I ტური

**კოლუმბია 0:0 ბრაზილია**

**კოლუმბია:** ხულიო, არსო, მოსკერა, ველესი, დ. ფერეირა (ა. რამირესი 55), რ. გარსია (ე. პერეა 81), ამაია, კ სანჩესი, ზუნიგა, კასტრილიონი (გრისალესი 55), რენტერია

მწვრთნელი: ჟორჟე პინტუ

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ჟილბერტო, ჟილბერტო სილვა, მინეირო, კაკა (აფონსო ალვეში 84), რონალდინიო, ვაგნერ ლავი (ჟოსუე 70), რობინიო (ჟულიო ბაპტისტა 62)

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

გაფრთხილება: ლუსიო, კაკა, ჟულიო სეზარი, ჟილბერტო სილვა, რენტერია, პერეა

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

45 000 მაყურებელი

### ამხანაგური მატჩი

ჰონდურასი 1:0 პანამა

### მექსიკა

აპერტურა. XII ტური

ამერიკა 0:0 ვერაკრუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავაგრძელოთ და წავახალისოთ

## ლეგროტალიე იუვენტუსს ელაპარაკება




**იტალიური** პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსი" ნიკოლა ლეგროტალიესთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. მხარეებს შორის მოქმედი შეთანხმების ვადა 2008 წლის ივნისში გადის.

ისე ჩანდა, რომ 31 წლის მცველის იუვენტუსური კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა, რადგან 2003 წელს „კიევოდან" ჩინებულ ფორმაში მყოფი ლეგროტალიე დიდი ამბით კი გადავიდა „ბიანკონერიში" და მისი ძალიანაც ეიმედებოდათ, მაგრამ... იგი „ბებერ ქალბატონში" ძალიან ცუდად ათამაშდა და ვერც „ბოლონიაში" და „სიენაში" განათხოვრებულმა გამოიჩინა თავი.

ახლა კი ჟორჟე ანდრადეს ტრავმის, დომენიკო კრიშიტოს გამოუცდელობისა და მთლიანობაში დაცვაში „იუვეს" პრობლემების წყალობით, მას ისევ მიეცა შანსი და ბრწყინვალედ არა, მაგრამ ნორმალურად გამოიყურება. ამბობენ, მის წასახალისებლად ხელმძღვანელობა ორწლიან კონტრაქტს და სეზონში დაახლეობით 750 ათას ევროს შესთავაზებსო.

პარალელურად, „იუვენტუსი" მცველების ძიებას აგრძელებს და მის სიაში ორი ახალი კანდიდატი გაჩნდა — „ინდეპენდიენტეს" 22 წლის არგენტინელი კარლოს ხავიერ მატეუ და ამავე ხნის „კალიარისა" და „ატურინის" უკანახაზელი მიკელე კანინი.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რა ხდება ნაპოლიში?

## ყვირილი, ღრიალი, მუშტების ტრიალი

„**ნაპოლის**" ფეხბურთელებმა, რობერტო სოსამ და მაურიციო დომიციმ ვარჯიშისას მუშტი-კრივი გააჩაღეს. მათ უკვე ჩაუტარა ალმზრდელობითი ლექცია ნეაპოლელთა მწვრთნელმა ედი რეიამ და ეგებ მომავალ მატჩში არც ათამაშოს ისინი. მათ სერიოზული ფულადი ჯარიმებიც ელით.

დომიციმ ერთ ეპიზოდში სოსა მოცელა და არგენტინელს ამაზე ძალიან მწვავე რეაქცია ჰქონდა. სანამ მათ დააშოშმინებდნენ, დომიციმ და სოსამ ერთმანეთს რამდენიმე მუშტი შემოარტყეს.

„ისინი გათამამებული ბავშვებივით მოიქცნენ. ასეთი რამეები კლუბს არცხვენს და მეც ძალიან შეშფოთებული ვარ. მალევე შევიკრიბებით და ამ ინციდენტთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მივიღებთ" — თქვა „ნაპოლის" სპორტულმა დირექტორმა პიერპაოლო მარინომ.



ეზეკიელ ლავეცი

ნერვები ვერ მოთოკა „ნაპოლის" კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, ახალგაზრდა არგენტინელმა თავდამსხმელმა ეზეკიელ ლავეციმაც, ოღონდ სულ სხვა მიზეზით. მისი მანქანა სხვა ავტომობილს ოდნავ გაუკაწრავს, ლავეცი გიჟივით გადმომხტარა მანქანიდან და იმ ავტომობილის პატრონი კინაღამ ცოცხლად შეუჭამია.

„იგი შეურაცხადს დაემსგავსა. მისი რეაქცია ყოველგვარ ფარგლებს გასცდა" — უთქვამს ლავეციზე მავან თვითმხილველს.

**კოკი კანდელაკი**

# ამაურის მილანი და სხვა

**სიცილიური** „პალერმოს" იტალიური ფესვების მქონე ბრაზილიელ ფორვარდ ამაურის „მილანის" სახით ახალი მსურველი გამოუჩნდა. ეს მისმა აგენტმა მარიანო გრიმალდიმაც დაადასტურა.

ამაურის წინა სეზონის დიდი ნაწილი მუხლის სერიოზული ტრავმის გამო გაუცდა. ახლა კი ისევ ათამაშდა და ნელ-ნელა იბრუნებს ძველებურ ფორმას.

— „მილანი" ერთადერთი კლუბი არ არის, რომელიც მას ეპატიჟება. ამჟამად ევროპის კიდევ ორი დიდი გუნდია მსურველი. ისიც მართალია, რომ მალე რამდენიმე დღით მილანში ჩავდივარ. თუმცა მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ახლა ამაურისთვის პირველ ადგილზე „პალერმოა", რომლის პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინისთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. თუ სიცილიელები ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებენ, არა მგონია, ჩემმა კლიენტმა წასვლაზე იფიქროს" — თქვა გრიმალდიმ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ რამდენიმე თვის წინ ამაურის იტალიის ნაკრებში თამაში შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა. თუმცა ამბობენ, შესაძლოა, გადაწყვეტილება შეცვალოსო.

**გიორგი ქაქაბაძე**





# ვისთვის კვდება ას გრადუსზე ბაქტერია?

**ერთი** ასეთი მოკლე ამბავი გვაქვს თქვენთვის მოსაყოლი: ხომ იცით, ამასწინათ დევიდ ბექჰემის მამას, ტედს ტრომბი რომ დაეცა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა? ისიც ხომ იცით, მამამთილის სანახავად რძალი, ვიქტორია ადამსი ლონდონს იაპონიიდან რომ ჩაფრინდა და საავადმყოფოს სამლოცველოში მეუღლესთან ერთად ავადმყოფის გადარჩენა განგებას გულმხურვალედ სთხოვა? აი, ის კი არ გეცოდინებათ, რომ პოშმა საავადმყოფოში ყავა არ დალია. რატომ? იმიტომ, რომ მას ყავა ონკანის წყლით მოუდუღეს, ანუ წყალი მისთვის ცალკე გამოყოფილი ბოთლიდან არ იყო.

პირველი თვითმხილველი: „საავადმყოფოს ერთმა თანამშრომელმა მას ყავა შესთავაზა, პოშმა კი იკითხა, რომელი წლით მოადუღეთ, ბოთლის თუ გამდინარეთიო. რასაკვირველია, ყავა გამდინარე, ონკანის წყლით გახლდათ მოდუღებული და ეს რომ გაიგო ვიქტორიამ, უპასუხა: არა, გმადლობთ.

ამ პასუხის გაგონებაზე ხალხმა გაოცებისგან პირი დააღო. წყალი ხომ ანადუღარი იყო, შესაბამისად, ბოთლისას და ონკანისას არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა".

მეორე თვითმხილველი შეესწრო, როგორ ითხოვა ვიქტორიამ თმის დასავარცხნად ცალკე ოთახი და საბოლოოდ დერეფნის ბოლოს, პერსონალისთვის გამოყოფილ საგანგებო განყოფილებაში განმარტოვდა.

მესამე თვითმხილველი: „მას სახის დაყენებული გამომეტყველება აქვს. ვერ გაიგებ, კოცნას გიპირებს, დაგელეპარაკება თუ ზედაც არ შემოგხედავს".

**პაატა კედია**

## ფერდინანდის მოთხოვნა

**ინგლისურ** „მანჩესტერ იუნაიტედს" გადაუწყვეტია, მცველ რიო ფერდინანდთან ახალი, მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. „წითელ ეშმაკებს" მისი კარიერის ბოლომდე დატოვება სდომებიათ და მხარეებს შორის მოლაპარაკებაც ალბათ მალე დაიწყება.

ამბობენ, ფერდინანდს ერთი მოთხოვნა აქვს: ისეთი ხელფასი დამინიშნეთ, როგორიც უეინ რუნისა და კრიშტიანუ რონალდუს აქვთო.

## ვან დერ ვაარტი გაისად

**ლონდონის** „ჩელსი", სხვა ევროპული გრანდების დარად, ჰოლანდიელ გამთამაშებელ რაფაელ ვან დერ ვაარტით რომ არის დაინტერესებული, არახალია. გერმანული „კიკერი" კი იუწყება, რომ ვან დერ ვაარტის გამოსყიდვა მომავალ ზაფხულს სულ რაღაც 1,5 მილიონ ევროდ იქნება შესაძლებელი და „ჩელსი" მის ხელში ჩასაგდებად ყველაფერს გააკეთებს.

ჰოლანდიელის „ჰამბურგთან" მოქმედ შეთანხმებას ვადა 2009 წლის ზაფხულში გასდის და გერმანული კლუბი ყველანაირად ცდილობს, იგი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაიყაბულოს.

## ჰაინცე მოვიდეს, კრაუჩი წავიდეს

**გასულ** ზაფხულს „ლივერპული" არგენტინელ მცველ გაბრიელ ჰაინცეს შეძენას ძალიან ცდილობდა, თუმცა „მანჩესტერმა" მერსისაიდელებთან საქმის დაჭერა არ ისურვა და ჰაინცე მადრიდის „რეალს" მიჰყიდა. მიუხედავად ამისა, რაფაელ ბენიტესი და კომპანია არგენტინელს არ ეშვებიან და, სავარაუდოდ, მის შეძენას იანვარში ან მომავალ ზაფხულს ისევ ეცდებიან.

„დეილი მირორი" იმასაც გვამცნობს, რომ ლივერპულელები პიტერ კრაუჩის 18 მილიონ ევროდ გაყიდვას აპირებენ. აყლაყუდა ფორვარდის მსურველები ამჟამად „სიტი" და „პორტსმუთი" არიან.

**გიორგი ქაქაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახსოვდეთ ვუდგეიტი!
## პეპეს ესპანეთში ინგლისური თვალით უყურებენ

**მადრიდის** „რეალის" პორტუგალიელი მცველი პეპე ამჟამად ტრავმას იშუშებს. მან მუხლი 31 აგვისტოს დაიშავა და ჯერაც უცნობია, მოედანზე გასვლას და სრული დატვირთვით თამაშს როდის მოახერხებს.

ტრავმის მიღებიდან ორ კვირაში პეპე „რეალს" თითქოს უნდა დაბრუნებოდა, თუმცა პორტუგალიელს სატკივარი გაურთულდა და მისმა გამოჯანსაღების ვადამ გაურკვეველი ვადით გადაიწია.

შევახსენებთ, რომ ლუზიტანში მადრიდელებმა „პორტუს" მცველისთვის სარეკორდო თანხა, 30 მილიონი ევრო გადაუხადეს. პეპეს კი ჯერჯერობით ამის საფასური „ბერნაბეუზე" არაფერი გაუკეთებია.

წინასწარი ვარაუდებით, პეპე „რეალის" შემადგენლობაში პრიმერადივიზიონის მომდევნო ტურში, „ესპანიოლთან" შეხვედრაში უნდა გამოჩნდეს. თუმცა მაინც საეჭვოა, რადგან ჯერ არავინ იცის, მადრიდელი ექიმები მას თამაშის ნებას დართავენ თუ არა.

გახსოვთ ჯონათან ვუდგეიტი?

ინგლისელი მცველი ფლორენტინო პერესის დროინდელმა „რეალმა" 22 მილიონ ევროდ იყიდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. „სამეფო გუნდისთვის" სამწუხაროდ, საწყალი „ვუდი" მუდმივმა ტრავმებმა გატანჯეს, „რეალში" ველარ ივარგა და მთელი ეს სკანდალურ-ტრავმიანი კამპანია ჯონათანის „ნიუკასლში" გასხვისებით დამთავრდა.

ამჟამად ესპანეთში იქაური მედია ეჭვს გამოთქვამს, რომ წარმოშობით ბრაზილიელი პეპეც ახალი ვუდგეიტია. უიღბლო ინგლისელსაც ხომ მუხლის მყესი ჰქონდა გაწყვეტილი (ზუსტად იგივე ტრავმა, რაც ექსპორტუელს აწუხებს) და საბრძოლო ფორმაში ჩადგომა ვერა და ვერ შეძლო.

დღეს პეპე ვარჯიშების საგანგებო კურსს გადის, რათა გამოჯანსაღება და თავისი ძვირი სატრანსფერო ღირებულების გამართლება მალე მოახერხოს. თუმცა „რეალის" ექიმები სამეფო თეთრების მწვრთნელ ბერნდ შუსტერს ურჩევენ, ლუზიტანის მოედანზე გაყვანა არ იჩქაროს — გახსოვდეთ ვუდგეიტი!

**ლადო ხომერიკი**




# ასი დღის თავზე
## ბერნდ შუსტერის რეალური გუნდი

**დღეს** ზუსტად 100 დღე გავიდა, რაც ბერნდ შუსტერი მადრიდის „რეალის" მწვრთნელად ოფიციალურად წარადგინეს და უნდა ითქვას, რომ გერმანელი „სანტიაგო ბერნაბეუზე" თავის მოვალეობას შესანიშნავად ასრულებს. სტატისტიკას გადავხედოთ — შუსტერის „რეალი" ამჟამად ესპანური პრიმერადივიზიონის ლიდერია, საამსეზონო ლა ლიგაში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი (16) და საკუთარ კარშიც ყველაზე ნაკლები გოლი (3) მიუღია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შინაურ პრიმერაში, ისევე ჩემპიონთა ლიგაში, „სამეფო გუნდს" წლეულს დამარცხების სიმწარე არ უნახავს.

თუმც „ბერნარდოს" მიერ მწვრთნელობის პირველ ასდღეულში მიღწეული წარმატება მარტო შედეგებით არ ჭანისაზღვრება. გავიხსენოთ, რომ „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა „სანტიაგო ბერნაბეუდან" წინა სეზონში გუნდისთვის ოქროს მედლების მომტანი ფაბიო კაპელოს დათხოვნის მერე შუსტერს საკმაოდ რისკიანი საქმე ჩააბარა. ეს მადრიდული გრანდის თამაშის უფრო გრაციოზულ სტილზე შემტევ, წარმტაც თამაშზე გადაწყობა იყო. კალდერონს ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, რომ ფაბიო კაპელომ 2006-07-ში ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო, სენიორ პრეზიდენტს სანახაობრივი თვალსაზრისით, მიმზიდველი „რეალის" ხილვა სურდა, ეს საქმე შუსტერს მიანდო და გაუმართლა კიდეც.

წლეულს სამეფო თეთრებმა თავიანთი ინჩადა რამდენიმე დიდებული მატჩით გაახარეს — მაგალითად, შეხვედრები „ატლეტიკოსთან" და „ვილიარეალთან". მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ „ბარსელონამ" მადრიდულ გუნდს გამარჯვებისა და განუწყვეტელი იერიშებისადმი მივიწყებული ლტოლვა დაუბრუნა.

შუსტერი დედაქალაქური გრანდის ბანაკში მეორე თანაქალაქელი გუნდიდან, „ხეტაფედან" მივიდა. „ბერნარდოს" ყოფილ კლუბთან კონტრაქტით კიდევ უწევდა თანამშრომლობა, თუმცა 480 ათასი ევრო გადაიხადა და „ხეტაფესგან" თავი გამოისყიდა. „ლურჯების" პრეზიდენტ ანხელ ტორესთან საბოლოო შეთანხმების შემდეგ გერმანელმა „ბერნაბეუს" მიაშურა და თავისი ოცნების გუნდთან, მადრიდის „რეალთან" 9 ივლისს გააფორმა სატრანსფერო ხელშეკრულება. ამ შეთანხმების მიხედვით, შუსტერის მწვრთნელობის ხანა „სამეფო კლუბში" სამი სეზონით უნდა გაგრძელდეს.

პრეზენტაციიდან ორი კვირის თავზე „რეალმა" ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, ავსტრიაში მზადება დაიწყო. იქ შუსტერმა სამეფო თეთრების ვეტერანებიც გაიცნო და ახალწვეულებიც. ირდინგში „რეალთან" ერთად ირჟი დუდეკი, ხავიერ სავიოლა და კრისტოფ მეცელდერი ჩავიდნენ. შემდეგ კი მადრიდულ არმიას დრენტე, უესლი სნეიდერი, გაბრიელ ჰაინცე და არიენ რობენი შეემატნენ.

დღეს გერმანელი სპეციალისტი უდავოდ ძლიერ გუნდს თავკაცობს. მართალია, სეზონის დასაწყისში „რეალმა" ესპანეთის სუპერთასზე „სევილიასთან" წააგო და გულშემატკივრებს ძველი ეჭვები აუშალა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი დალაგდა და ახლა „ბერნარდოს" ბიჭები ესპანეთსა თუ ევროპაში ბატონობენ.

**ლადო ხომერიკი**




### ჟილბერტოს ორი გზა

**ბრაზილიელი** ნახევარმცველი ჟილბერტო სილვა, სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდება „არსენალის" შემადგენლობაში და, შესაბამისად, დიდი შანსია, „მეთოფეებმა" ახლა მაინც ისურვონ მისი სარფიანად გაყიდვა. მით უმეტეს, რომ ჟილბერტოს შეძენა კვლავაც ძალიან სურთ „ვალენსიასა" და „იუვენტუსს". ეს კლუბები მიზნის მიღწევას იანვარშიც ეცდებიან.

„ლამურებს" ტრანსფერისთვის უკვე 10 მილიონი ევროც გაუმზადებიათ.

### სიტიმ ანელკა თქვა

**ინგლისურმა** „სიტიმ" დაადასტურა, რომ „ბოლტონის" გამოცდილი ფრანგი ფორვარდის ნიკოლა ანელკას შეძენაზე ფიქრობს.

მისი გამოსყიდვა მსურველს, სულ ცოტა, 15 მილიონი ევრო დაუჯდება.

ანელკას „მილანს", „ნიუკასლსა" და „პორტსმუთსაც" უკავშირებენ.

### კიევური თვალი პანდევს

**ბრწყინვალე** ფორმაში მყოფი მაკედონელი თავდამსხმელის გორან პანდევისთვის თვალი კიევის „დინამოს" დაუდგამს.

გავრცელებული ცნობით, უკრაინული კლუბი მზად არის, 24 წლის ფეხბურთელში „ლაციოს" 11-12 მილიონი ევრო გადაუხადოს.

პანდევი მიზანში „არსენალსაც" ამოუღია.

### ისევ დავკრიფავ იასა

**ჩეხ** მცველ ტომაშ უიფალუშს „ფიორენტინასთან" მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება და მას უკვე ბევრი კლუბი იწვევს, თუმცა თავად ფეხბურთელს „იებში" სდომებია დარჩენა.

„შემოთავაზება გვაქვს „სევილიასგან", ინგლისური და იტალიური კლუბებისგან, მაგრამ უიფო ფლორენციაში თავს კარგად გრძნობს და დარჩენა უნდა. 95 პროცენტით დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება" — თქვა უიფალუშის აგენტმა ჯორჯო დე ჯორჯისმა.

### ტიაგუს წასვლა უნდა

**ზაფხულში** „ლიონიდან" „იუვენტუსში" გადასული ტიაგუ მენდეში ახალ კლუბს და გარემოს ვერაფრით შეეგუა და ცუდ ფორმაშია. მართალია, ტურინელთა ხელმძღვანელები და პორტუგალიელის აგენტი ამბობენ, მას დრო სჭირდება და ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ იტალიური პრესა ირწმუნება, დიდი შანსია, ტიაგუმ იანვარშივე თითქმის უთამაშებლად დატოვოს „ბიანკონერიო". იგივე აზრზეა, „ბებერი ქალბატონის" ექსვარსკვლავი და ტიაგუს თანამემამულე პაულუ სოუზა.

„ტიაგუ სწრაფი და ტექნიკურია, შეტევა კარგად ეხერხება. თუმცა იტალიაში თამაშის ისეთი სტილია, რომელთან გამკლავება და შეგუებაც მას ძალიან გაუჭირდება. სერია A-ში ფიზიკურად უაღრესად ძლიერი უნდა იყო და დაცვაც გეხერხებოდეს" — თქვა ვეტერანმა სოუზამ.

### ბიანკი აწუწუნდა

**როლანდო ბიანკი** წინა სეზონში სერია A-ში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გახლდათ. ზაფხულში იგი „სიტიმ" იყიდა და 24 წლის ფეხბურთელმაც მალევე გაიტანა ინგლისელების შემადგენლობაში გოლი, მაგრამ ეს იყო და ეს. იგი პრემიერლიგას ვერ შეეწყო და იტალიაში დაბრუნებაზე ფიქრობს.

„ბერგამოელი ვარ და კარგად ვიცი, რომ მძიმე შრომის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. თუმცა დაუმსახურებლად შემადგენლობის მიღმა დატოვებას მიჩვეული არ ვარ და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, „სიტი" დავტოვო. თუმცა ყველანაირად ვეცდები, სვენ გორან ერიკსონს დავუმტკიცო, რომ ძირითად თერთმეტეულში ადგილს ვიმსახურებ" — განაცხადა ბიანკიმ.

**კოკი კანდელაკი**

# როგორ ლოცულობდა რაულ ტამუდოს დედა შვილის ტრანსფერის ჩაშლაზე

**„ესპანიოლის" კაპიტან რაულ ტამუდოს სამშობლოში პოპულარობა არასოდეს აკლდა, თუმცა ნაკრების შემადგენლობაში დანიასთან შესანიშნავი თამაშის შემდეგ თაყვანისმცემლები გასაქანს აღარ აძლევენ. შაბათს კი ტამუდოს შინაურ ჩემპიონატში მადრიდის „რეალთან" ჭიდილი მოუწევს. „ფურია როხას" მობურთალს „ასის" ჟურნალისტი გაესაუბრა...**



— დანიასთან მატჩის შემდეგ ღამით მშვიდად გეძინათ?

— მკვდარივით მეძინა. შეხვედრის მერე თვითმფრინავით პირდაპირ ფინეთში წამოვედით. დაღლილი ვიყავი და საწოლს მივაშურე, თუმცა იქამდე მშობლებთან, საცოლესთან და მეგობრებთან ტელეფონით საუბარი მოვასწარი. ჩემ გარდა, ყველა გიჟივით იყო. მე კი ბუნებით მშვიდი ადამიანი ვარ და ასე აღელვება არ მჩვევია. ჰელსინკიში ჩამოსვლიდან მეორე დღეს დავისვენეთ, თუმცა სიცივის და წვიმის გამო დიდად ვერაფრით გავერთეთ. შემდეგ კი ისევ სამუშაოს მივუბრუნდით.

— ნაკრების სათადარიგოდან ძირითადში გადაინაცვლეთ. ვინც თქვენც კარგად გიცნობთ, უეჭველად წინასწარ იტყოდა, რომ რაულ ტამუდო თავის გამოჩენის ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა...

— ყველაფერი კარგად წარიმართა. ისეთი ფეხბურთელების გვერდით თამაში, როგორებიც ესპანეთის ნაკრების წევრები არიან, საქმეს მიადვილებს.

— „ფურია როხაში" თანაგუნდელი ივან დე ლა პენია გვერდით რომ გყოლოდათ...

— აი, მაშინ უფრო ძლიერად ვითამაშებდით. დე ლა პენიას ტრავმისგან მალე გამოჯანსაღებას ვუსურვებ. საჭირო პასებით თანაგუნდელების მომარაგებაში ბადალი არ ჰყავს.

— ანუ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელების ნაკლებობას არ განიცდის?

— ესპანეთმა დაამტკიცა, რომ ყველა დიდი ჯილდოსთვის ბრძოლა შეუძლია.

— ორი წლის განმავლობაში ნაკრებში ვერ ხვდებოდით. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— ნაკრებს მიზნის მისაღწევად თავი არასდროს დაუზოგავს. სხვა საქმეა გარკვეულ ეპიზოდებში ბედი ჩვენს მხარეს იყო თუ არა. მწვრთნელებს ეროვნულ გუნდში გამოსაძახებელი კანდიდატები ბლომად ჰყავთ, თუ ტამუდო არ იქნება, მის საქმეს სხვა გააკეთებს. ჩემი პრინციპი კი ისევ იგივე რჩება — მუშაობა და გოლების გატანა...

— ხუთი გოლი შეაგდეთ „ფურია როხას" შემადგენლობაში და ამათგან ხუთივე თავურით გაიტანეთ...

— პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და რა შანსიც მომეცემა, იმას ვიყენებ. ფულსაც ამაში მიხდიან.

— რაულ ტამუდოს დიდი ტურნირების ფინალურ ეტაპებზე არასოდეს უთამაშია...

— როგორ არა, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე... მაშინ ვერცხლის მედლები მოვიგეთ. კამერუნმა დაგვამარცხა, არადა, ფინალში თავიდან 2:0-ს ვიგებდით.

— ფერნანდო ტორესი, დავიდ ვილია და ფერნანდო მორიენტესი თქვენზე უკეთესად თამაშობენ?

— მე ჩემი საქმის ასპროცენტიანად შესრულებას ვცდილობ. გადაწყვეტით კი მწვრთნელი ადგენს, შემადგენლობაში ვინ მოხვდება. ვფიქრობ, რომ შედარებები საჭირო არ არის. ფერნანდო ტორესმა დანიელებთან მატჩის მერე გამარჯვება მომილოცა. ძალიან კმაყოფილი იყო, ისევე, როგორც ყველა ესპანელი ფეხბურთელი. აქ გუნდზე ვსაუბრობთ, გუნდის ყველა წევრს კი მაღალი დონის მატჩებში სურს მონაწილეობა. მეც მათ შორის ვარ, არ მინდა, ფეხბურთი ისე დავტოვო, რომ დიდი ტურნირის დასკვნითი ეტაპის ჯადოსნური ატმოსფერო ვერ შევიგრძნო.

— 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ თქვენ და მიგელ ანხელ მისტა ლა ლიგის მთავარმეგოლეები იყავით. ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ინაკი საესმა კი პორტუგალიაში არ წაგიყვანათ. საესზე ახლაც გაბრაზებული ხართ?

— არ დაგავიწყდეთ, რომ ამქვეყნად კონკურენცია არსებობს.

— „ესპანიოლის" შემადგენლობაში 115 გოლი გაიტანეთ. რაულ ტამუდო რომ „რეალის" ან „ბარსელონას" ფეხბურთელი ყოფილიყო, 200 გოლსაც გაიტანდა?

— სავსებით შესაძლებელია.

— გრანდებში მოსახვედრად მარკეტინგი დაგაკლდათ?

— არ ვიცი. მთავარი ის არის, რომ მე ჩემს ღლევანდელ კლუბში ყოფნით კმაყოფილი ვარ. როგორც ფეხბურთელი, „ესპანიოლში" დავიბადე და აქვე „მოვკვდები".

— ბოლოს, როცა კინაღამ „ესპანიოლი" მიატოვეთ, თქვენი შეძენა „ვილიარეალს" უნდოდა. ეს 2007 წლის ზაფხულში მოხდა, სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ კი „გლაზგო რეინჯერსის" აგენტები გიკავშირდებოდნენ...

— „ესპანიოლმა" ზაფხულში ტრანსფერგარეშედ გამომაცხადა და „ვილიარეალიც" ამას შეეგუა. შოტლანდიელთა შემოთავაზებამ კი ჩემს კარიერას თავისი დაღი დაატყო. მაშინ „რეინჯერსმა" „ესპანიოლს" სამი მილიარდი პესეტა შესთავაზა. ეს, მოგეხსენებათ, დიდი ფული იყო და გარიგებაც შედგა. ჩავედი გლაზგოში და იქ... სამედიცინო შემოწმება ვერ გავიარე. საქმე ის გახლავთ, რომ სიდნეის ოლიმპიადის ფინალში კამერუნელმა პიერ ვომემ, ვინც შემდგომ „ესპანიოლში" ჩემი თანაგუნდელი გახდა, ფეხი ისე ძლიერად ჩამარტყა, „რეინჯერსის" სამედიცინო შემოწმებაზე ბარძაყზე სისხლჩაქცევით მივედი. შოტლანდიელმა ექიმებმა იფიქრეს, ამ ბიჭს ფეხი არ უვარგაო და ბარსელონაში დამაბრუნეს. მერე აღმოჩნდა, რომ „რეინჯერსის" სამედიცინო შტაბი ძალიან შეცდა.

— მაშინ ამბობდნენ, რომ ტამუდოს „რეინჯერსში" ვერმოხვედრა გაუხარდა...

— ჩემი თავი ნამდვილად ვერ წარმომიდგენია შოტლანდიაში.

— იმ საკრედიტო ბარათის ამბავიც მოგვიყევით...

— ჰო, ეგეც მაგარი იყო. შოტლანდიაში „რეინჯერსის" პრეზიდენტის პირადი თვითმფრინავით ჩავფრინდით. იქ, რა თქმა უნდა, პასპორტი მომთხოვეს, მე კი ჩანთაში ჩავყვინთე და აღმოვაჩინე, რომ პასპორტი ბარსელონაში დამრჩენოდა, მარტო „კაიშას" საკრედიტო ბარათი მქონდა და ამით შოტლანდიელები ძალიან გავაკვირვე. უნდა გენახათ, ჩემი წარმომადგენელი ტომას დურანი როგორ მიყურებდა, „რეინჯერსის" დაბნეული ხალხის თვალწინ საკრედიტო ბარათი რომ დავაძვრე... შემდეგ, როცა ტრანსფერი ჩაიშალა, სახლში დედას დავუკავშირდი და ვახარე, იმ გაყინულ შოტლანდიაში აღარ ვითამაშებ-მეთქი. როგორ შედგებოდა ტრანსფერი, ბარსელონაში დაბრუნებულს დედაჩემმა მითხრა, ღვთისმშობლის ხატის წინ ვლოცულობდი, რომ ხელი შეგშლოდაო. ახლაც ვერ ვხვდები, ტამუდოების ოჯახს გლაზგოში რა უნდა ეკეთებინა, იქ სულ სხვანაირი გარემოა, სხვანაირი ცხოვრების წესი...

— ბარსელონას ნოსტალგიით ტირილი მოგიწევდათ. თქვენ ხომ ემოციისგან ხშირად ტირით...

— დიახ, ნერვიულობა არ მჩვევია, თუმცა ხანდახან თვალზე ცრემლს ვერ ვიმაგრებ.

— დანიასთან კარგად ითამაშეთ, თუმცა შარშან სხვა დაუვიწყარი საღამოც გქონდათ, როცა თქვენი მიზეზით, ესპანეთში ბევრი სიხარულის და ბევრიც ჯავრის ცრემლი დაიღვარა...

— ჰო, „ბარსელონასთან" ცნობილი გოლის შემდეგ თქვენმა გაზეთმა „რეალის" „მხსნელი" მიწოდა. მთლად ასე არ იყო, თანამედროვე ფეხბურთში ხომ ინდივიდუალური გმირები აღარ არსებობენ.

— „ესპანიოლის" ფანები ძალიან გახარებულნი არიან. ნაკრებში მათი გუნდის სამ ფეხბურთელს უკვე დიდი ხანია, არ უთამაშია...

— ნორმალური სიტუაცია იყო. დანიასთან რიერამ, ლუის გარსიამ და მე ვითამაშეთ. ეს ტრიუმფი „ესპანიოლის" ფანებს და საერთოდ, მთელ ესპანეთს ეძღვნება.

— შაბათს „რეალს" ხვდებით. ნაკრებში თქვენმა თანაგუნდელებმა, იკერ კასილიასმა და სერხიო რამოსმა უკვე იციან, შერკინება ვისთან მოუწევთ...

— რა არის ეს „რეალი", აქამდე რომ ვერავინ დაამარცხა? ჩვენ „ვალენსიას" მოვუგეთ, მაგრამ მადრიდელებთან ბრძოლა გაცილებით ძნელი იქნება. მთავარი კი ის არის, რომ გულშემატკივარი დიდებულ მატჩს ნახავს.

— დღეს წარმატების მწვერვალზე ხართ. არადა, როცა „სანტა კოლომაში" თამაშობდით, ამას ვინ წარმოიდგენდა...

— ალბათ არავინ. მე ერთი ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, მილიონთა მსგავსი, ვინც ფეხბურთს ქუჩაში სწავლობს და თავის დასამკვიდრებლად იბრძვის. მერე ბედმაც გამიღიმა, მწვრთნელებიც კარგი შემხვდნენ, მაგალითად, პაკო ფლორესი და კარიერაც ავაწყვე.

— რაულ ტამუდო: უკანასკნელი ფეხბურთელი ქუჩიდან?

— დიახ, როცა მავანს ჩემი ფინტები უკვირს, ვეუბნები, ეს რაა, აი, შენ რომ სანტა კოლომას ქუჩებში დაძრულ მანქანასთან მოფინტავე ტამუდო გენახა, მაშინ აუცილებლად გაოცდებოდი-მეთქი.




## ბარსელონა პატარა ბელადზე ფიქრობს

**ინგლისური** მედიის ცნობით, გაისად „ბარსელონას" სამიზნეზე „ლივერპულის" არგენტინელი ფეხბურთელი ხავიერ მასკერანო იქნება. გაზეთები აცხადებენ, რომ „ბარსელონას" ცენტრის გაძლიერება სჭირდება და კატალონიელები „წითლების" ნახევარმცველით ამიტომ დაინტერესდნენ.

ეს ინფორმაცია MSI-მაც („მედია სპორტს ინვესტმენტი") დაადასტურა. კორპორაციამ, რომელსაც კია ჯურაბჩიანი თავკაცობს და ვინც მასკერანოს გაყიდვაზე უფლებების მფლობელია.

ინგლისური გაზეთებიდან ვიგებთ, რომ არგენტინელი ნახევარმცველის აგენტი ვალტერ ტამერი რამდენიმე დღის წინ ბარსელონაში იყო და იქაურებთან მასკერანოს კონტრაქტის თაობაზე მოითათბირა.

კატალონიური „სპორტი" კი უშუალოდ „ბარსას" თავკაცობას დაუკავშირდა და დაადგინა, რომ ხუან ლაპორტას ბანაკი მასკერანოთი დაინტერესების ფაქტს არ ადასტურებს. „ბარსელონას" ხავიერის შეძენა ორი სეზონის წინ სურდა, როდესაც პატაგონიელი „ვესტ ჰემის" წევრი იყო და მისი სატრანსფერო ღირებულება ვარსკვლავებს არ ეთამაშებოდა. ახლა კი, თუ ლაპორტამ მასკერანოს შეძენა მოინდომა, „ლივერპულისთვის" 28 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს, რაც კატალონიელებს გულზე სულაც არ ეხატებათ.

ხავიერ მასკერანო 23 წლისაა და მეტსახელად აქვს „ელ ხეფესიტო", ანუ „პატარა ბელადი". „ელ ხეფე" („ბელადი") ლეონარდო ასტრადა იყო „რივერ პლეიტში" და როდესაც ნორჩმა მასკერანომ „მონუმენტალზე" ბურთაობისას ასტრადა ჩაანაცვლა, ეს თიკუნიც მაშინ დაიმსახურა. მერე იყო ბრაზილიურ „კორინთიანსში" კარლოს ტევესთან ერთად გატარებული პერიოდი და „ლივერპულში" გადაბარგებამდე „ვესტ ჰემ იუნაიტედი".

**ლადო ხომერიკი**

# წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 3 | უიგანი-პორტსმუთი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 4 | არსენალი-ბოლტონი | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 20:15 | 6 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 4.40 | 3.50 | 1.70 | 1.94 | 1.22 | 1.14 |
| 18:00 | 8 | ბლეკბერნი-რედინგი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 15:45 | 9 | ევერტონი-ლივერპული | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 18:00 | 10 | ფულემი-დერბი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 18:00 | 11 | სიტი-ბირმინგემი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 18:00 | 13 | მიდლსბრო-ჩელსი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 2 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 1 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 14 | სტოკი-უენსდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 15 | უოტფორდი-პალი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 18:00 | 16 | ბარნსლი-ბარნლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 17 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 18 | ბლეკპული-კრისტალ პალასი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 19 | კოლჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 18:00 | 20 | ნორვიჩი-ბრისტოლი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 21 | პლიმუთი-ქოვენთრი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 22 | ქპრ-იფსვიჩი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 23 | შეფილდი-პრესტონი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 24 | საუთჰემპტონი-კარდიფი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 25 | სკანთორპი-ლესტერი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 727 | ჰალიფაქსი-გრეისი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 93 | კოტბუსი -დუისბურგი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 85 | ვერდერი-ჰერტა | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 17:30 | 87 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.80 | 3.30 | 4.15 | 1.16 | 1.25 | 1.83 |
| 17:30 | 88 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:30 | 89 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 17:30 | 90 | ბოხუმი-ბაიერნი | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 17:30 | 96 | ჰანზა-შალკე | 4.30 | 3.30 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 92 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 94 | კარლსრუე-არმინია | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 127 | ავსტრია კერნტენი-ტიროლი | 1.70 | 3.20 | 4.35 | 1.11 | 1.22 | 1.84 |
| 20:00 | 128 | ალტახი-მატერსბურგი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 20:00 | 129 | რიდი-ლინცერი | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 20:00 | 131 | ზალცბურგი-შტურმი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 125 | ავსტრია-რაპიდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 141 | რეჯინა-ინტერი | 8.00 | 3.70 | 1.40 | 2.52 | 1.19 | 1.01 |
| 22:30 | 142 | რეჯინა-ინტერი 1:0 | 2.60 | 3.30 | 2.10 | | | |
| 20:00 | 143 | რომა-ნაპოლი | 1.35 | 3.90 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.67 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 138 | ლივორნო-ლაციო | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.30 | 1.28 |
| 17:00 | 140 | მილანი-ემპოლი | 1.22 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.09 | 3.43 |
| 17:00 | 144 | სამპდორია-პარმა | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 17:00 | 145 | უდინეზე-პალერმო | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 146 | ატალანტა-ტორინო | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 17:00 | 147 | კალიარი-კატანია | 1.90 | 2.80 | 4.40 | 1.13 | 1.32 | 1.71 |
| 17:00 | 148 | ფიორენტინა-სიენა | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 17:00 | 149 | ფიორენტინა-სიენა 0:1 | 1.90 | 3.30 | 3.00 | | | |
| 22:30 | 150 | იუვენტუსი-ჯენოა | 1.35 | 3.80 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.62 |
| 22:30 | 151 | იუვენტუსი-ჯენოა 0:1 | 2.10 | 3.20 | 2.70 | | | |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 170 | ლევანტე-სევილია | 5.50 | 3.40 | 1.60 | 2.10 | 1.23 | 1.08 |
| 22:00 | 172 | ვილიარეალი-ბარსელონა | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| 23:45 | 178 | ესპანიოლი-რეალი | 3.80 | 3.20 | 1.90 | 1.73 | 1.26 | 1.19 |
| 22:00 | 179 | დეპორტივო-ვალენსია | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 171 | ატლეტიკო-სარაგოსა | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 173 | ალმერია-ოსასუნა | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 174 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 175 | ბეტისი-რასინგი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 176 | ხეტაფე-მურსია | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 177 | უელვა-მალიორკა | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:10 | 192 | ლიონი-მონაკო | 1.45 | 3.60 | 6.75 | 1.03 | 1.19 | 2.34 |
| 22:00 | 194 | ოსერი-ლორიანი | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 22:00 | 195 | კაენი-ლილი | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| 22:00 | 196 | ნიცა-მეცი | 1.70 | 3.20 | 4.75 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 22:00 | 197 | რენი-ლე მანი | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 22:00 | 198 | სტრასბური-ბორდო | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 22:00 | 199 | ტულუზი-სტ.ეტიენი | 2.10 | 2.90 | 3.45 | 1.21 | 1.30 | 1.57 |
| 22:00 | 200 | ვალენსიენი-პსჟ | 2.55 | 2.90 | 2.70 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 201 | ნანსი-სოშო | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| 23:00 | 203 | მარსელი-ლანსი | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 256 | ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 20:00 | 258 | აეკ-ლარისა | 1.20 | 5.70 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.63 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 251 | ლევადეიაკოსი-ქსანთი | 2.80 | 2.90 | 2.40 | 1.42 | 1.29 | 1.31 |
| 20:00 | 252 | არისი-პაოკ | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |
| 20:00 | 253 | კალამარია-ერგოტელისი | 2.00 | 3.00 | 3.70 | 1.20 | 1.29 | 1.65 |
| 20:00 | 254 | ვერია-პანათინაიკოსი | 7.50 | 3.70 | 1.40 | 2.47 | 1.17 | 1.01 |
| 22:15 | 255 | ატრომიტოსი-ირაკლისი | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 18:00 | 260 | ოფი-ასტერას ტრიპოლისი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 347 | იორგრიტე-ნორჩიოპინგი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| | | მს 2010 შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 769 | ჩილე-პერუ | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 770 | ვენესუელა-არგენტინა | 8.00 | 3.70 | 1.35 | 2.52 | 1.15 | 1.00 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 771 | ბოლივია-კოლუმბია | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 772 | პარაგვაი-ურუგვაი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 773 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.15 | 5.70 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.86 |
| 09:00 | 776 | ფიჯი-ახ.ზელანდია | 12.00 | 6.00 | 1.12 | 4.00 | 1.02 | 1.00 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 13:30 | 775 | ყირგიზეთი-იორდანია | 5.50 | 3.70 | 1.45 | 2.21 | 1.14 | 1.04 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 700 | ყაზახეთი-პორტუგალია | 18.00 | 7.00 | 1.08 | 5.03 | 1.01 | 1.00 |
| 19:00 | 702 | რუსეთი-ინგლისი | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| 20:00 | 703 | აზერბაიჯანი-სერბეთი | 8.50 | 4.30 | 1.30 | 2.85 | 1.12 | 1.00 |
| 21:30 | 705 | მალტა-მოლდოვა | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 21:30 | 706 | თურქეთი-საბერძნეთი | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| 22:00 | 707 | მაკედონია-ანდორა | 1.05 | 8.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.71 |
| 22:00 | 709 | დანია-ლატვია | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |
| 22:00 | 710 | ლიხტენშტეინი-ისლანდია | 7.50 | 3.70 | 1.40 | 2.47 | 1.17 | 1.01 |
| 22:30 | 712 | შვედეთი-ჩრდ.ირლანდია | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 22:15 | 714 | ლუქსემბურგი-რუმინეთი | 20.00 | 8.50 | 1.05 | 5.96 | 1.00 | 1.00 |
| 22:30 | 716 | ბოსნია-ნორვეგია | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 22:30 | 717 | ირლანდია-კვიპროსი | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| 22:30 | 719 | ჰოლანდია-სლოვენია | 1.13 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.03 | 4.21 |
| 22:45 | 721 | ბელგია-სომხეთი | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| 22:45 | 723 | გერმანია-ჩეხეთი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 22:45 | 724 | ალბანეთი-ბულგარეთი | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| 23:00 | 725 | საფრანგეთი-ლიტვა | 1.04 | 8.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.71 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:00 | 728 | ყატარი-ერაყი | 2.80 | 2.50 | 2.35 | 1.32 | 1.27 | 1.21 |
| 19:30 | 729 | ხორვატია-სლოვაკეთი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 730 | იაპონია-ეგვიპტე | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| 19:00 | 731 | ესტონეთი-ჩერნოგორია | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 22:30 | 732 | ავსტრია-კოტ დუარი | 2.85 | 3.10 | 2.15 | 1.48 | 1.22 | 1.26 |
| 22:00 | 733 | შვეიცარია-აშშ | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| 20:00 | 734 | პოლონეთი-უნგრეთი | 1.50 | 3.60 | 6.10 | 1.05 | 1.20 | 2.26 |
| 21:30 | 735 | ფინეთი-ესპანეთი | 5.00 | 3.30 | 1.60 | 1.98 | 1.21 | 1.07 |
| 22:45 | 736 | იტალია-სამხრეთ აფრიკა | 1.18 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.07 | 3.52 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:30 | 737 | მაკედონია(21)-ნორვეგია(21) | 4.00 | 3.30 | 1.70 | 1.80 | 1.19 | 1.12 |
| 17:15 | 738 | პოლონეთი(21)-რუსეთი(21) | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 739 | რუმინეთი(21)-საფრანგეთი(21) | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 19:30 | 740 | სლოვაკეთი(21)-კვიპროსი(21) | 1.40 | 3.60 | 6.85 | 1.00 | 1.16 | 2.35 |
| 19:45 | 741 | ესტონეთი(21)-შვეიცარია(21) | 8.00 | 4.00 | 1.30 | 2.66 | 1.11 | 1.00 |
| 20:00 | 742 | უნგრეთი(21)-ბელარუსი(21) | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| 20:00 | 743 | სლოვენია(21)-დანია(21) | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 23:00 | 744 | ისლანდია(21)-ავსტრია(21) | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 21:00 | 745 | ჩერნოგორია(21)-პორტუგალია(21) | 7.30 | 4.20 | 1.30 | 2.66 | 1.10 | 1.00 |
| 22:15 | 746 | გერმანია(21)-მოლდოვა(21) | 1.02 | 8.50 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.96 |
| 22:45 | 747 | საბერძნეთი(21)-იტალია(21) | 3.00 | 3.10 | 2.05 | 1.52 | 1.21 | 1.23 |
| 23:00 | 748 | ირლანდია(21)-ინგლისი(21) | 3.70 | 3.20 | 1.80 | 1.71 | 1.21 | 1.15 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:00 | 749 | აზერბაიჯანი(21)-ალბანეთი(21) | 3.50 | 3.20 | 1.85 | 1.67 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 | 751 | ფარერები(21)-ხორვატია(21) | 14.00 | 5.30 | 1.12 | 3.84 | 1.03 | 1.00 |
| 18:30 | 752 | ჩეხეთი(21)-სომხეთი(21) | 1.11 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.03 | 4.28 |
| 19:00 | 753 | ლატვია(21)-სერბეთი(21) | 4.00 | 3.30 | 1.75 | 1.80 | 1.21 | 1.14 |
| 19:00 | 754 | ლიტვა(21)-ფინეთი(21) | 3.10 | 3.10 | 2.05 | 1.54 | 1.23 | 1.23 |
| 20:00 | 755 | ჩრდ.ირლანდია(21)-ისრაელი(21) | 2.70 | 3.10 | 2.25 | 1.44 | 1.22 | 1.30 |
| 22:30 | 756 | უელსი(21)-მალტა(21) | 1.12 | 5.20 | 14.00 | 1.00 | 1.03 | 3.79 |
| | | ჰოკეი.NHL | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 455 | ლოს ანჯელესი-მინესოტა | 2.40 | 4.00 | 2.05 | 1.50 | 1.10 | 1.35 |
| 23:45 | 456 | ფილადელფია-ატლანტა | 1.80 | 4.00 | 2.80 | 1.24 | 1.09 | 1.64 |
| 23:45 | 457 | მონრეალი-ფლორიდა | 1.80 | 4.00 | 2.80 | 1.24 | 1.09 | 1.64 |
| 23:45 | 458 | კოლორადო-კალგარი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 497 | სოდერტელიე-აიკ | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |
| 21:00 | 498 | ბრიუნესი-ტიმრე | 2.20 | 4.10 | 2.05 | 1.43 | 1.06 | 1.36 |
| 21:00 | 499 | მოდო-ჰვ 71 | 2.20 | 4.00 | 2.20 | 1.41 | 1.10 | 1.41 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 513 | ტაპარა-ჰელსინკი | 1.70 | 4.20 | 2.80 | 1.21 | 1.05 | 1.67 |
| 19:30 | 514 | ესეტი-ესპოო | 2.30 | 4.10 | 2.05 | 1.47 | 1.08 | 1.36 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 515 | იუვესკიულე-ტურკუ | 1.60 | 4.30 | 2.90 | 1.16 | 1.03 | 1.73 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 525 | პარდუბიცე-ზლინი | 1.60 | 4.30 | 3.20 | 1.16 | 1.06 | 1.83 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:25 | 526 | უსტი-ლიტვინოვი | 2.30 | 4.00 | 2.10 | 1.46 | 1.09 | 1.37 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 527 | ლიბერეცი-ზლინი | 1.50 | 4.30 | 3.30 | 1.11 | 1.03 | 1.86 |
| 20:15 | 528 | სლავია-ვიტკოვიცე | 1.55 | 4.20 | 3.20 | 1.13 | 1.04 | 1.81 |
| 19:30 | 529 | კლადნო-პარდუბიცე | 2.50 | 4.10 | 1.85 | 1.55 | 1.06 | 1.27 |
| 20:00 | 530 | სპარტა-პლზენი | 1.45 | 4.20 | 4.00 | 1.07 | 1.06 | 2.04 |
| 19:30 | 531 | ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 19:30 | 532 | ზნოიმო-ტრჟინეცი | 1.95 | 4.10 | 2.50 | 1.32 | 1.09 | 1.55 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 564 | ამბრი-ფრიბურგი | 2.05 | 4.20 | 2.25 | 1.37 | 1.07 | 1.46 |
| 21:45 | 565 | ბაზელი-ბერნი | 2.90 | 4.20 | 1.75 | 1.71 | 1.09 | 1.23 |
| 21:45 | 566 | დავოსი-კლოტენი | 1.60 | 4.30 | 3.20 | 1.16 | 1.06 | 1.83 |
| 21:45 | 567 | სერვეტი-ლუგანო | 1.95 | 4.20 | 2.40 | 1.33 | 1.07 | 1.52 |
| 21:45 | 568 | ლანგნაუ-ციურიხი | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 21:45 | 569 | ცუგი-რაპერსვილი | 1.65 | 4.30 | 3.10 | 1.19 | 1.07 | 1.80 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 583 | ლოკომოტივი-ავანგარდი | 1.65 | 4.50 | 2.50 | 1.20 | 1.00 | 1.60 |
| 19:00 | 584 | სევერსტალი-სპარტაკი | 1.35 | 4.50 | 4.00 | 1.03 | 1.00 | 2.11 |
| 19:00 | 585 | ასკ-ამური | 1.12 | 5.30 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 2.91 |
| 19:00 | 586 | ტორპედო-მვდ | 2.00 | 4.20 | 2.10 | 1.35 | 1.02 | 1.39 |
| 19:00 | 587 | აკ ბარსი-სიბირი | 1.25 | 4.80 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.44 |
| 19:00 | 588 | ნეფტეხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 1.40 | 4.50 | 3.50 | 1.06 | 1.00 | 1.96 |
| 19:00 | 589 | ხიმიკი-ვიტიაზი | 1.30 | 4.40 | 4.20 | 1.00 | 1.00 | 2.14 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ოლიმპიზმი

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრებს

ქალბატონებო და ბატონებო!

2004 წლის 17 დეკემბერს თქვენ ერთხმად ამირჩიეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად. სამი წლის განმავლობაში თითოეული ჩვენთაგანი არაფერს იშურებდა, რათა ხელი შეგვეწყო ჩვენი სპორტსმენებისთვის უმაღლესი შედეგების მიღწევაში და საქართველო მსოფლიოს წინაშე ღირსეულად წარმოგვეჩინა.

ამა წლის 9 ოქტომბერს სეოკ-ის წევრთა ნაწილმა არალეგიტიმური შეკრება ჩაატარა და კენჭი უყარა ჩემი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. ამასთან დაკავშირებით მე მივმართე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ-ი), რათა ამ ავტორიტეტული მსოფლიო ორგანიზაციის მეშვეობით განმემარტა ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის წევრებისთვის, მათი მაღალი პოლიტიკური მფარველებისთვის, რომ არავისთვის არ არის დაშვებული ოლიმპიური ქარტიის, საკუთარი წესდების მოთხოვნათა დარღვევა.

სეოკ-ის მიერ ჩემს, როგორც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მისამართით გამოგზავნილ პასუხში ცალსახადაა დადასტურებული შემდგარი კრების არალეგიტიმურობა. ვიმედოვნებ, რომ ამას იქეთ არც თქვენ და არც თქვენი შემცვლელები არ დაარღვევთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ დადგენილ წესებს.

ჩემი გულწრფელი და ღია პოზიცია საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღის პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო სცილდება მოქმედი ხელისუფლების პოზიციებს. მშვენივრად მესმის, რომ ჩვენი სპორტსმენების წარმატებები მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ხელისუფლების მხარდაჭერასთან და ამიტომაც სეოკ-ის საქმიანობა ხელისუფლების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაში უნდა მიმდინარეობდეს. მიმაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში შეუძლებელია განვაგრძო სეოკ-ის ხელმძღვანელობა და მივიღე გადაწყვეტილება დავტოვო თანამდებობა.

მადლობას გიხდით ერთობლივად ჩატარებული სამუშაოსა და იმ მაღალი ნდობისთვის, რომელიც მე აღმომიჩინეთ ამ წლების განმავლობაში.

კვლავაც მიგულეთ ქართველი სპორტსმენების გვერდით!

პრეზიდენტი ა. პატარკაციშვილი

# პირველი ვიცე პირველობას ფიქრობს

## ვინ დაიკავებს ბადრი პატარკაციშვილის ადგილს?



**იმთავითვე** ნათელი იყო, რომ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში 9 ოქტომბერს გამართულ შეკრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელთა ძალითაც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს უფლებამოსილება შეუჩერეს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არალეგიტიმურად სცნობდა და როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ასეც მოხდა.

რას აპირებს ახლა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი? ამ კითხვით მივმართეთ ამ ორგანიზაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტ **ლერი ხაბელოვს.**

— უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ბადრი პატარკაციშვილმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრებს გამოუგზავნა განცხადება — გვეუბნება ლერი ხაბელოვი — ბატონი ბადრი იმ განცხადებაში წერს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლებელია სეოკ-ის ხელმძღვანელობა განვაგრძო და ამიტომ თანამდებობის დატოვება გადავწყვიტეო. თუმცა იქვე მიუთითებს, კვლავაც ქართველი სპორტსმენების გვერდით მიგულეთო. ახლა, ჩვენი ორგანიზაციის წესდებიდან გამომდინარე, რომელიც ოლიმპიურ ქარტიასთან სრულ შესაბამისობაშია, გადავწყვიტეთ 23 ოქტომბერს მოვიწვიოთ აღმასკომის სხდომა, სადაც ბადრი პატარკაციშვილის განცხადების თაობაზე ვიმსჯელებთ. იქ მიღებული გადაწყვეტილება კი შემდგომ სეოკ-ის სესიამ უნდა დაამტკიცოს.

**— მანამდე ვინ იქნება სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი?**

— წესდების მიხედვით, ეს მოვალეობა ან მე უნდა დამეკისროს, ან სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტ გოგი თოფაძეს, რაც 24 ოქტომბერს აღმასკომის სხდომაზე გადაწყდება.

**— ცხელ გულზე გოგი თოფაძემ ჩვენს კითხვაზე, სეოკ-ის პრეზიდენტობას ხომ არ ფიქრობთო, გვიპასუხა, ალბათ არაო. ახლა კი ირკვევა, რომ იგი არას ამბობს. თქვენ რომ შემოგთავაზონ ეს პოსტი, რას იტყვით?**

— მე ჩემს კანდიდატურას წამოვაყენებ და თუ მხარს დამიჭერენ, ამ ოლიმპიური ციკლის დასრულებამდე სეოკ-ს ვუხელმძღვანელებ.

**ავთანდილ ტყვიშელი**

კალათბურთი

# ცქიტიშვილის იტალიური სერია

## ელისის ბომბები კახას არ ეყო



ნიკა ცქიტიშვილმა საკუთარ თავს იტალიაში მიაგნო

**ნიკა ცქიტიშვილი** სადაც კი მისულა, ყველა გუნდი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. სხვა საკითხია, რამდენად ამართლებდა ის გაცემულ ავანსებს, თუმცა ყველა მწვრთნელი და კლუბის მენეჯერი ხელგაშლით ხვდებოდა ზემონაცემების მქონე ქართველს. მიუხედავად იმისა, რომ ნიკამ თავი თითქმის ვერსად გამოიჩინა, ამას წინათ ის დიდი აჟიოტაჟით შეიმატა იტალიური სერია A-ს „ტერამომ", რომლის ხელმძღვანელებიც ხმამაღლა ამბობდნენ, ცქიტიშვილი ჩვენი მომავალი ლიდერიაო. სხვა მატჩებისა რა მოგახსენოთ და სერია A-ს გასულ ორ ტურში ცქიტიშვილმა სწორედაც რომ ულიდერა თავის გუნდს.

„ცქიტომ" „ნაპოლისთან" ძირითადში დაიწყო თამაში და მოედანზე 34 წუთი გაატარა. მისი 9 საშუალო სროლიდან 7-მა მიაღწია მიზანს, ხოლო 6 საჯარიმოდან 5 ჩაუშვა ნეაპოლელთა კალათში. ნიკას სამქულიანი არ უსვრია — მისმა მონაგარმა მთლიანობაში 19 ქულა შეადგინა. ამასთან, 8 მოხსნა და 2 პასიც მიითვალა — ის ტერამოელთაგან საუკეთესო იყო.

ნიკა გასული კვირის მეორე მატჩშიც საუკეთესო იყო. „ტერამომ" მილანში „არმანისთან" 79:84 წააგო, თუმცა ქართველ ფორვარდზე აუგს ვერავინ იტყვის. ცქიტიშვილმა 38 წუთი დაჰყო მოედანზე და 17 ქულასთან ერთად, 7 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 4 პასი მიითვალა. „ნაპოლისთან" მატჩის არ იყოს, ნიკამ მილანელებსაც 6-დან 5 საჯარიმო ჩაუგდო, ხოლო საშუალო დისტანციიდან 8 ცდიდან მხოლოდ 2 ააცილა.

ცქიტიშვილს არც ამჯერად უსვრია სამიანი, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ის ტერმოელებმა ფარისკენ აწიეს და ძირითადად სამწამიანში უწევს თამაში. არადა, რაკი კარგი მიზანი აქვს და მოძრავია, მისი მფლობელი ყველა გუნდი „ცქიტოს" პერიმეტრზე გამოყენებასაც ეშურებოდა. ახლა კი, როგორც ჩანს, მას ის ადგილი მოუძებნეს, სადაც ყველაზე სასარგებლო იქნება. ფარქვეშ თამაშისთვის ათლეტურობაა საჭირო, რაც ცქიტიშვილს ყოველთვის აკლდა, თუმცა როცა ბოლოს ის თბილისში იყო, ყველა ამბობდა, ნახეთ, „ცქიტო" რა ჯანზეაო. ჰოდა, საკუთარ თავზე მუშაობის შედეგს ნიკა უკვე იტალიაში იმკის.

ცქიტიშვილზე უფრო კარგად ითამაშა ჩვენი ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა ტაირონ ელისმა. სხვათა შორის, ის იმ გუნდშია, რომელშიც შარშან ცქიტიშვილი ბურთაობდა — ესპანურ „კახასოლში" (შარშან „კახა სან ფერნანდო" ერქვა). ელისმა 28 ქულა მიითვალა და მატჩის ბომბარდირიც გახდა, მაგრამ მისი გუნდის გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — „ფუენლაბრადამ" „კახასოლი" 91:81 დაჯაბნა.

ელისმა სნაიპერული თვისებები გამოავლინა და 12-დან 7 სამიანი მიითვალა. საჯარიმოს ხაზიდან მან 4-დან სამი ჩააგდო, ხოლო 3 ორქულიანიდან კალათში 2 მოათავსა. როგორც ხედავთ, ელისმა დიდებულად ითამაშა, მაგრამ მას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

გადმოვინაცვლოთ პოსტსაბჭოურ სივრცეში, სადაც ჩვენი ნაკრების 3 წევრი თამაშობს — ვლადიმერ ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი და გიორგი ცინცაძე. ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ.

ბოისას „სპარტაკ-პრიმორიემ" რუსულ სუპერლიგაში მეორე მარცხი განიცადა — ამჯერად „ურალ გრეიტთან". ვოვამ 33 წუთი ითამაშა და 10 ქულასთან ერთად, 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. საშუალო დისტანციიდან მას არა უშავდა, სროლათა ნახევარი ჩააგდო, თუმცა სამქულიანებში არ გაუმართლა — ექვსივე გაუცუდდა.

მარკოიშვილმა „ბკ კიევის" შემადგენლობაში 15 წუთი ითამაშა და 5 ქულას მოუყარა თავი. მისმა გუნდმა კი დრამატულ ბრძოლაში 73:72 დაამარცხა „ბკ ოდესა".

გიორგი ცინცაძეზეც ვთქვათ, ვისმა „როკმაც" გასულ კვირაში ორი მატჩი გამართა ბალტიის ლიგაში. ჯერ იყო და, ესტონეთის ჩემპიონი ლიტვურ „შაულიაისთან" დამარცხდა (90:96), გუშინწინ კი „როკერებმა" ლიტვურსავე „ნეპტუნასთან" წააგეს (61:82). პირველ შეხვედრაში ცინცაძემ 27 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. „ნეპტუნასთან" ცინცაძე უფრო შედეგიანი იყო — 15 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი.

დაბოლოს, ოკეანგაღმაც გადავინაცვლოთ, სადაც ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ" მორიგი საგამოფენო მატჩი გამართა და პირველად დამარცხდა. მიჯრით სამჯერ გამარჯვებული „ქორები" პორტლენდელებმა შეაჩერეს — 102:89. ფაჩულიამ 22 წუთი დაჰყო მოედანზე და 9 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

**ირაკლი კერტაია**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

14 ოქტომბერი

**ანაჰაიმი 0:2 მინესოტა**

*0:0 0:2 0:0*

0:1 როლსტონი (23), 0:2 პერიში (32

**ლოს ანჯელესი 1:4 დეტროიტი**

*0:0 0:2 1:2*

0:1 დაციუკი (21), 0:2 დრეიპერი (24), 1:2 კამალერი (42), 1:3 ჰოლმსტრომი (46), 1:4 ზეტერბერგი (48)

ძიუდო

# ბრინჯაოს სამაია ჩინური რვეული ბაქოშიც გადაჭამალეს

**ძიუდოისტებს** მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კიდევ დარჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრი. ერთ-ერთი ამ უქმეებზე ჩავლილი აზერბაიჯანის მსოფლიოს თასი იყო, რომელზეც პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულები დარიგდა. ბაქოს ტატამზე ძირითადად ის ძიუდოისტები გავიდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე რვეულს მიღმა რომ დარჩნენ და შესაბამისად, პეკინის საგზურის განაღდება ვერ მოახერხეს.

საქართველოს ნაკრებმა რიო დე ჟანეიროში შვიდიდან ხუთ წონით კატეგორიაში შეძლო ოლიმპიური საქმის გაკეთება და მხოლოდ 66 და 81 კილოგრამებში სჭირდება მსოფლიოს თასებსა და სუპერთასებზე ქულების გროვება. სწორედ ამ ტურნირების საერთო შედეგებით შედგენილი რეიტინგის რვა-რვა საუკეთესო მიიღებს ლიცენზიას.

ბაქოს მსოფლიოს თასს ქართული გუნდი ორი შემადგენლობით ეწვია. ძირითადი ნაკრებიდან მხოლოდ ზაზა კედელაშვილმა (66 კგ) და გიორგი ბაინდურაშვილმა (81 კგ) მოირგეს კიმონოები და ქულათა მარაგიც გაიმდიდრეს, თუმცა შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ვერ ვიტყვით, რომ საუკეთესოდ იჭიდავეს.

კედელაშვილს აქამდე 104 ქულა ჰქონდა (100 ევროპის ჩემპიონატზე დაერიცხა, 4 — როტერდამის მსოფლიოს თასზე) და რეიტინგში მესამე პოზიციაზე იდგა. აზერბაიჯანში კი ზედ 20 დაამატა და ერთი პოზიციით წინ წაიწია.

ევროპის ორგზის ჩემპიონმა ოქროზე ფიქრი პირველსავე წრეში დაასრულა, მასპინძელ რამილ გასიმოვთან მარცხის შემდეგ. თუმცა როცა გასიმოვმა ნახევარფინალს უწია, ჩვენებურს ბრინჯაოს გზა გაეხსნა. რეპეშაჟში ზაზამ ყაზახი ანვარ კასიმოვი, რუსეთის სახელით მოჭიდავე სერგეი ბადრიაშვილი, უკრაინელი ვლოდიმირ როგალსკი და რუსი მანსურ ისაევი დაამარცხა.

თუ 66 კილოგრამში პეკინის ლიცენზიისთვის მებრძოლი მთავარი ქართველი ცნობილია, 81-ში პროგნოზის გაკეთება გაცილებით ძნელია. ამ დროისთვის საუკეთესო შედეგი ბაინდურაშვილს აქვს, მაგრამ უპირატესობის შესანარჩუნებლად არანაკლები ბრძოლა დასჭირდება, ვიდრე რვეულში მოსახვედრად.

ბაქოში გიორგიმ მეხუთე ადგილი დაიკავა, ათი ქულა მოიპოვა და რეიტინგში მეექვსე ადგილი შეინარჩუნა (48 ქულა). ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ბრინჯაოსთვის შეხვედრაში მან გრიგოლ შინჯიკაშვილთან წააგო. ამ უკანასკნელმა 20 ქულა მიიღო, სულ 34 დაუგროვდა და რვეულს მიუახლოვდა. არ იქნება, აქვე 81 კილოგრამშივე მოჭიდავე ნაკრების კანდიდატები — გრიგოლ მამრიკიშვილი, საბა გავაშელიშვილი და ლევან წიკლაური არ ვახსენოთ, რომლებიც აზერბაიჯანულ ტატამზე არ გასულან, მაგრამ მომავალ მსოფლიოს თასზე შანსი აუცილებლად მიეცემათ.

კედელაშვილ-შინჯიკაშვილის გარდა აზერბაიჯანიდან მედლით ბეთქილ შუკვანიც (60 კგ) დაბრუნდა. სხვა ჩვენებურთაგან კი მედალთან ყველაზე ახლოს ლევან რაზმაძე (100 კგ) და ზვიად ხანჯალიაშვილი (+100 კგ) მივიდნენ. ლევანმა მეხუთე ადგილი დაიკავა, ზვიადმა — მეშვიდე.

**ოთარ ჩალაძელიძე**

სამბო

# ოქროს ვეტერანები

**საბერძნეთის** ქალაქ სალონიკში ჩატარებულ ვეტერან სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე სამკაციანმა ქართულმა გუნდმა სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ინფორმაცია გუშინ ქალაქ თბილისის მერიის პრესსამსახურიდან მოგვაწოდეს, რამეთუ ერთი ჩემპიონი — თეიმურაზ გიორგაძე — სწორედ მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსია.

გიორგაძემ 35-40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიგო ოქრო. 40-45 წლიანებში მძიმე წონაში ბესო მიქელთაძე გახდა ჩემპიონი, ხოლო 50-55 წლიანებში ასევე მძიმე წონაში — ოთარ ყურაშვილი.



ჰოკეი




# ბებერ ხარს ვეღარც რქებმა უშველა

**გასულ** უქმეებზე მოსკოვში ფაქტობრივად დასამარდა ევანდერ ჰოლიფილდის მეხუთე საჩემპიონო ტიტულის მოგების ოცნება. ამის მიზეზად კი რუსი სულთან იბრაგიმოვი იქცა, რომელმაც ამერიკელი საკუთარი ტრიბუნების წინ მსაჯების ერთობლივი გადაწყვეტილებით დაამარცხა.

არადა, ჰოლიფილდს სანუკვარ მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა დააკლდა და ამ შეხვედრის შემხედვარე იმის თქმაც შეიძლება, რომ იბრაგიმოვი დაუმარცხებელ მოკრივეს სულაც არ ჰგავდა. თუმც ამერიკელს ტყუილად არ უჩიჩინებდნენ, ასაკი ხელს არ გიწყობს და ცანცარს მოეშვიო — 45 წლის ვეტერანი უბრალოდ ტემპში ვერ აჰყვა რუსს და იმიტომაც დამარცხდა.

უშუალოდ ბრძოლა კი საკმაოდ უინტერესო გამოდგა — არც ნოკდაუნი იყო და არც თავბრუსდამხვევი კომბინაციები, რადგან ჰოლიფილდს ამის თავი არ ჰქონდა, იბრაგიმოვი კი მეტოქესთან ახლოს მისვლას ერიდებოდა და აქცენტი შორიდან ბრძოლაზე, რინგზე სწრაფ მოძრაობასა და ასევე სწრაფ შეტევებზე გააკეთა. რუსის მიერ ასეთი ტაქტიკის არჩევა მოულოდნელი სულაც არ გახლდათ, რადგანაც სისწრაფე (განსაკუთრებით ხელების) ისედაც მისი მთავარი იარაღია, ხოლო ჰოლიფილდის ასაკის მოკრივესთან ეს უბრალოდ მისწრებაა.

სწორედ ამიტომ, თორმეტივე რაუნდში პოზიციური ბრძოლა იყო. ჰოლიფილდი რინგის შუაგულში იდგა და ცდილობდა, იბრაგიმოვი ახლო ჩხუბში გამოეწვია, მაშინ როცა რუსი მეტოქეს წრეებს ურტყამდა და უეცარი შეტევებით ქულებს აგროვებდა. ამის მიუხედავად, თავიდან უფრო აქტიური ამერიკელი იყო და მან რამდენჯერმე მწარედაც მოარტყა რუსს, თუმც სერიოზული ზიანი ვერ მიაყენა. მეხუთე რაუნდიდან კი უკვე იბრაგიმოვი გააქტიურდა და სულ უფრო ხშირად უტევდა. ჰოლიფილდს დაღლა დაეტყო და აშკარად გამოჩნდა, რომ მასპინძლის ტემპს ვერ უძლებდა.

ბოლო რაუნდისთვის თითქმის ყველაფერი ცნობილი იყო — იბრაგიმოვი ქულებში სოლიდური უპირატესობით იგებდა და წესით, ქამრის შენარჩუნება არ უნდა გასჭირვებოდა. ჰოლიფილდი კი სანუკვარ მიზანს მხოლოდ ნოკაუტის შემთხვევაშიღა თუ უწევდა. ჰოდა, ამერიკელმა თავისი მაინც სცადა და ერთ მომენტში ბაგირთან მოიმწყვდია კიდეც მეტოქე, ძლიერი ჰუკიც გაატარა, მაგრამ რუსმა ჯებით შეძლო მეტოქის შეკავება, შემდეგ კი ისევ და ისევ სისწრაფის ხარჯზე ადვილად გაექცა.

სამივე მსაჯმა გამარჯვება იბრაგიმოვს მიანიჭა — 118:110, 117:111 და 117:111. ასე რომ, რუსმა შეძლო **WBO**-ს ტიტულის შენარჩუნება და, როგორც ამბობენ, ახლა ქამრების გაერთიანებაზე დაიწყებს ფიქრს.

მძიმე წონის დანარჩენი ქამრები კი, შეგახსენებთ, ასეა განაწილებული — ვიტალი კლიჩკო (**IBF**), რუსლან ჩაგაევი (**WBA**) და ახლადგამოცხადებული ჩემპიონი სამუელ პიტერი (**WBC**).

**კახა ლომჯაშვილი**

# დიასსპორა: ხუანი, ხულიო და დევიდი

**კვირას** საინტერესო ბრძოლა გაიმართა ჩიკაგოში, სადაც ერთმანეთს მსუბუქწონოსანი მოგვარეები, ხუან და ხულიო დიასები დაეტაკნენ. ეს ქამრების გამაერთიანებელი ბრძოლა იყო, რადგანაც ხუანი **WBA**-სა და **WBO**-ს ტიტულების მფლობელი გახლდათ, ხულიოს კი **IBF**-ის ქამარი ეკუთვნის... ეპყრა.

ბრძოლა ძალიან საინტერესო გამოდგა, რადგანაც მეტოქეებმა თავიდანვე მაღალ ტემპში დაიწყეს ჩხუბი და ერთმანეთს გვარიანადაც ურტყეს. სიმაღლესა და ხელების სიგრძეში უპირატესობის მიუხედავად, ხულიო დიასმა უცნაური ტაქტიკა აირჩია, საბრძოლველად მეტოქესთან მიახლოებას ცდილობდა, რაც მისთვის დამღუპველი აღმოჩნდა, რადგან ხუანს აშკარა უპირატესობა აღმოაჩნდა სისწრაფეში — ამის გამო ხულიოს ყოველ მოქნეულზე ხუანი დარტყმების მთელი სერიებით პასუხობდა ხოლმე. გარდა ამისა, ხუან დიასი საშუალო დისტანციიდან უფრო ეფექტურად იბრძოდა და მეტოქეს მუშტებით ხშირად სწვდებოდა.

ბრძოლის მეორე ნახევარში გამოჩნდა, რომ ხულიო ფიზიკურადაც სუსტად იყო მომზადებული, რადგანაც აღებულ ტემპს ველად გაუძლო. ხუან დიასს კი დაღლისა არაფერი ეტყობოდა, მეტოქეს შესვენების საშუალებასაც არ აძლევდა და იმდენი ურტყა, რომ მერვე რაუნდში ხულიო დიასის შტაბმა გადაწყვიტა, ბრძოლა შეეწყვიტა.

შედეგად, 24 წლის ხუან დიასმა უკვე მესამე ქამარი მოიპოვა და აბსოლუტურ ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი მოგვარე, დევიდ დიასიღა ელობება, რომელიც ამჟამად **WBC**-ს ტიტულის მფლობელია.

„გამიკვირდა, ხულიომ ახლო ბრძოლა რომ მოინდომა. თუმც სასიამოვნო სიურპრიზი იყო, რადგანაც ეს ჩემი ძლიერი მხარეა. ერთადერთი უსიამოვნო მოულოდნელობა მისი დარტყმის სიძლიერე აღმოჩნდა, თუმც ბევრჯერ ვერ მომწვდა და ამიტომაც ტემპი აღარ დამიგდია. ახლა კი იმედი მაქვს, რომ მენი პაკიაო ამ წონაში გადმოვა — მისნაირ მოკრივესთან დაპირისპირება ძალიან მინდა. ვიცი, რომ ხოელ კასამაიორი ჩემთან საბრძოლველად ყოველთვის მზად არის, მაგრამ ის ახლა ვეტერანია. მე პაკიაოს მაგვარ, კარიერის პიკზე მყოფ მოკრივესთან შებრძოლება მწადია" — თავის გეგმებზე ისაუბრა ნამატჩევს ჩემპიონმა.

**კახა ლომჯაშვილი**

# ნაკრებმა ვარჯიში დაიწყო


[illegible] ქართველიშვილის ფოტო

მამუკა მჭავანაძემ ნაკრები შეკრიბა

**გუშინ** საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" „ჩელენჯტროფის" ტურნირისთვის მზადება დაიწყო და მთავარი მწვრთნელის მამუკა მჭავანაძის ხელმძღვანელობით პირველი ვარჯიში ჩაატარა. ნაკრებში ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატიდან გამოძახებული ხელბურთელები ვარჯიშობენ, ლეგიონერი ოდენ თურქეთის მე-2 ლიგის „ორმან სპორტ კლუბში" მოთამაშე შოთა გრიშიკაშვილია.

მთავარი დამრტყმელი ძალა, ლეგიონერები, თბილისში ჩამოსვლას 20 ოქტომბრიდან დაიწყებენ და უკვე შეკრებილ 17 კაცს შეუერთდებიან. რამდენიმედღიანი დაკვირვების შემდეგ ნაკრების თავკაცი შემადგენლობას გაცხრილავს და 14 რჩეულს დაასახელებს. გუშინდელი ვარჯიში 2 საათს გაგრძელდა. ბიჭები გახურდნენ და მერე ტაქტიკური ვარიანტების დამუშავება დაიწყეს. გუნდში იგრძნობოდა, რომ ყველა განსაკუთრებით ემზადება მოახლოებული თამაშებისთვის. ერთადერთი, ვინც ბოლომდე ვერ იტვირთება, ეს ტიტე კალანდაძეა — მან ტრავმა ჯერ ვერ მოირჩინა. 24 ოქტომბრიდან ნაკრები წვრთნას უკვე სპორტის სასახლეში გააგრძელებს, სადაც გაიმართება კიდეც „ჩელენჯტროფის" თამაშები. ჩვენი მეტოქეებიდან აზერბაიჯანი და სომხეთი 24 ოქტომბერს გვეწვევიან, მოლდოვის ნაკრები კი 25-ში ჩამოფრინდება.

**ლევან მაისურაძე**





AFP მელბურნიდან

# ავსტრალიამ გმირი ნახა

**სამყაროს** უკიდურეს სამხრეთში, მწვანე კონტინენტის ქვედა ბოლოში, მელბურნის გარეუბან „ფილიპ აილენდზე" გასულ უქმეებისას დიდებული მოტოსპექტაკლი მოეწყო.

ცხადია, ურიცხვი ავსტრალიელი გულშემატკივარი უპირველესად თავიანთი ეროვნული გმირის, ყველაზე პრესტიჟულ, სამეფო კატეგორიაში ვადამდე გაჩემპიონებული კეისი სტოუნერის მორიგი წარმატების ხილვის იმედით მიბრძანდა. თანამემამულე გმირმაც მათ იმედი არ გაუცრუა — რბოლის მესამე სასტარტო პოზიციიდან დაწყების შემდეგ მალე ჩამოიტოვა წინმდგომები და ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრა.

სუპერჩემპიონი ვალენტინო როსი დასაწყისში მეორე იყო და შემდგომი გააქტიურების შედეგად სალიდერო შანსიც გაუჩნდა, მაგრამ თანამემამულე ლორის კაპიროსიმ შუა რბოლისას დიდებული მანევრით უკან ჩამოიტოვა და ავსტრალიის ვიცე-ჩემპიონიც გახდა.

მელბურნში კი არა, წლეულს საერთოდ ნირწამხდარმა „დოქტორმა" როსიმ თავისთვის ისე რა მესამე ადგილით თითქმის გაინაღდა გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე პოზიცია, თუმც საამისოდაც კი ესპანელ დანიელ პედროსასთან დუელი მოელის.

250-იანთა ლიდერ ესპანელ ხორხე ლორენცოს დიდი შანსი ჰქონდა, მელბურნში ვადამდე გვირგვინი გაენაღდებინა. ამისთვის საკმარისი იყო, მორიგი დიდი პრიზი მოეგო და ერთადერთი კონკურენტი ანდრეა დოვიზიოსო ხუთი საქულო ადგილით ჩამოეტოვებინა. ხორხემ თავისი პროგრამა კი შეასრულა — მიმდინარე სეზონში მეცხრე რბოლა მოიგო მაგრამ დოვიზიოსომ მესამე ადგილით ფავორიტს გეგმები, ვფიქრობთ, მცირე ხნით აურია.

უკიდურესად გამწვავდა სატურნირო ვითარება ყველაზე პატარა, 125-კუბიან კლასში. 26 წლის ლიდერი, ვეტერანი გაბორ ტალმაში მელბურნში ფინიშთან მხოლოდ მერვე კი მივიდა, თუმც საამისო რვა ქულითაც შეინარჩუნა გენერალურ კლასიფიკაციაში მეწინავეობა.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. XVI ეტაპი

### ავსტრალიის დიდი პრიზი. ფილიპ აილენდი — 4,448 კმ

#### მოტო გრან პრი — 120,1 კმ

| | |
|---|---|
| 1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) | 41 წთ; 12,2 |
| 2 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მალბორო) | ჩამორჩა 6,8 |
| 3 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) | 10,0 |

**საერთო ჩათვლა**

1 სტოუნერი 322 ქულა; 2 როსი 230; 3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 201; 4 ჯონ ჰოპკინსი (აშშ, რიზლა სუზუკი) 165; 5 კრის ვერმეულენი (ავსტრალია, რიზლა სუზუკი) 160

#### 250 სმ³ — 111,2 კმ

| | |
|---|---|
| 1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) | 39 წთ; 25,7 |
| 2 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) | ჩამორჩა 19,6 |
| 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) | 19,7 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 287; 2 დოვიზიოსო 242; 3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) 215; 4 ბატისტა 181; 5 ჰექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 146

#### 125 სმ³ — 102,3 კმ

| | |
|---|---|
| 1 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზეედორფ დერბი) | 38 წთ; 03,0 |
| 2 ხუან ოლივეი (ესპანეთი, პოლარის აპრილია) | ჩამორჩა 0,1 |
| 3 ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკაზა აპრილია) | 0,2 |

**საერთო ჩათვლა**

1 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკაზა აპრილია) 237; 2 ფაუბელი 236; 3 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 166; 4 პეშეკი 161; 5 სიმონე კორსი (იტალია, სკაილდ აპრილია) 155



# ასფალტის სეზი



**მარათონული** სარალო სეზონის გასრულებამდე სამი ეტაპით ადრე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა სებასტიენ ლოებმა საფრანგეთის დიდი პრიზის ზედიზედ მესამედ მოგებით ოთხ ქულამდე შეამცირა გენერალურ კლასიფიკაციაში მარკუს გრონჰოლმთან ჩამორჩენა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ „მფრინავი" ფინელი მარკუსი ასფალტის გროსმაისტერი ვერაა, ამდენად კუნძულ კორსიკის გზებზე მეორე ადგილითაც კმაყოფილი დარჩა, მითუმეტეს თავისი „ფორდის" მექანიკური პრობლემების გათვალისწინებით.

გრონჰოლმი საწყის ორ უბანზე უსწრაფესი კი იყო, მაგრამ მერე ლოებმა აიღო ინიციატივა და მეთოდურად ზრდიდა კონკურენტთან უპირატესობას. სებმა და მისმა მონაკოელმა თანამძღოლმა დანიელ ელენამ 15-დან ცხრა ჩქაროსნული მონაკვეთი მოიგეს და კომფორტული, თითქმის ნახევარწუთიანი სხვაობით აჯობეს „ფორდის" ფინურ დუეტს. თუმც სუომელი ცისფეროვალელები დასკვნით უასფალტო ეტაპებზე წარმატებას და შესაბამისად, მორიგი გვირგვინის მოპოვებას გეგმავენ.

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
### XIII ეტაპი. საფრანგეთი. 359,0 კმ

#### რბოლის შედეგები

| | |
|---|---|
| 1 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ;28.31,5 |
| 2 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 23,7 |
| 3 დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 44,3 |
| 4 იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, ფორდი) | 2.30,5 |
| 5 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 2.42,1 |
| 6 კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 3.53,8 |
| 7 იან კოპეცკი (ჩეხეთი, შკოდა) | 8.02,9 |
| 8 ხავიერ პონსი (ესპანეთი, სიტროენი) | 9.34,2 |

#### საერთო ჩათვლა

1 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 104 ქულა; 2 ლოები — ელენა 100; 3 ჰირვონენი — ლეპტინენი (ფინეთი, ფორდი) 74; 4 სორდო - მარტი 45; 5 პეტერ სოლბერგი — მილსი 38; 6 ატკინსონი — მაკნილი/პრევო 29; 7 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 28; 8 ლატვალა — ანტილა 24; 9 დიუვალი — პივატო (ბელგია, სიტროენი) 12; 10 კოპეცკი — ჰოვანეკი 10; გარდმოსტერი — ჰონკანენი (ფინეთი, სიტროენი) 10

#### კონსტრუქტორთა თასი

ფორდი 179 ქულა; სიტროენი 147; სუბარუ 71; სტობარტ-ფორდი 64; კრონოს-სიტროენი 39

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

**ერთ დროს** მსოფლიოს ორმოცდაათ საუკეთესო ჩოგბურთელს შორის მყოფი ირაკლი ლაბაძე, ვისაც გაუთავებელი ტრავმების გამო წლეულს, ფაქტობრივად, არ უთამაშია, ATP-ის რეიტინგში სულ დაბლა და დაბლა ეშვება.

გუშინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი კლასიფიკაციები გამოქვეყნდა და ლაბაძემ, რომელმაც ბოლო ერთ კვირაში ხუთი სარეიტინგო ქულა დაკარგა, ერთბაშად 115 საფეხურით დაბლა დაიწია — ოდესღაც 42-ე ნომერი ახლა ოდენ 946-ეა.

სამაგიეროდ, ლადო ჩიხლაძემ კიდევ ხუთი პოზიცია მოიგო და კარიერის უმაღლეს, 350-ე ადგილს უწია. ლაბაძისა და ჩიხლაძის გარდა რეიტინგებში კიდევ 13 ქართველია — სამი კაცი და ათი ქალი და მათი მდგომარეობა გასულ კვირაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**კაცები**

| | |
|---|---|
| 350 (+5) ლადო ჩიხლაძე | 94 |
| 946 (-115) ირაკლი ლაბაძე | 9 |
| 1245 (-2) ნოდარ ითონიშვილი | 3 |
| 1474 (0) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1474 (0) გიორგი ჭანტურია | 1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 162 (-4) მაკა ჩახნაშვილი | 192,5 |
| 280 (-1) ანა ტატიშვილი | 86,75 |
| 427 (+1) სოფო შაფათავა | 43,0 |
| 546 (+2) სალომე დევიძე | 27,0 |
| 606 (+5) თინა ყაველაშვილი | 21,0 |
| 626 (+4) ოქსანა კალაშნიკოვა | 19,5 |
| 638 (+3) მანანა შაფაქიძე | 19,0 |
| 734 (0) სოფო მელიქიშვილი | 13,5 |
| 749 (+4) სოფო ქვაცაბაია | 13,0 |
| 823 (+6) ეკა გორგოძე | 10,0 |




მადრიდის მასტერსის წინ კორტზე თანამედროვე ჩოგბურთის სამი გოლიათის — როჯერ ფედერერის (ცენტრში), რაფაელ ნადალისა (მარცხნივ) და ნოვაკ ჯოკოვიჩის სკულპტურები წამოჭიმეს

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7355 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5385 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4370 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3255 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 2505 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2245 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2130 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2110 |
| 9. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2035 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1940 |
| 11. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1935 |
| 12. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1885 |
| 13. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1675 |
| 14. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1673 |
| 15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1620 |
| 16. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1485 |
| 17. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1480 |
| 18. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1465 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1365 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 1350 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1171 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1012 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 848 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 530 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 424 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 343 |
| 8. ტომი ჰაასი (გერმანია) | 328 |
| 9. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 327 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 326 |
| 11. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 320 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 317 |
| 13. კარლოს მოია (ესპანეთი) | 315 |
| 14. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 314 |
| 15. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 283 |
| 16. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 281 |
| 17. გილერმო კანასი (არგენტინა) | 280 |
| 18. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 273 |
| 19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 266 |
| 20. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 258 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5500 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3775 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3475 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3175 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3161 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 2766 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2625 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2177 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2022 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2021 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1976 |
| 13. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1921 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 1820 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1710 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1682 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1679 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1624 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1577 |
| 20. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1364 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4975 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4096 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3581 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3162 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2766 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2628 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 8. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2431 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2096 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2022 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1989 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1902 |
| 13. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1864 |
| 14. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1698 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1686 |
| 16. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1621 |
| 17. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1618 |
| 18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1478 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1436 |
| 20. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1372 |

# საშემოდგომო ბრძოლები

საჩოგბურთო სეზონი იწურება და როგორც ყველა შემოდგომაზე, წიწილების დათვლის დროც მოსულა. „დიდი სლემების“ მოლევის შემდეგ საჩოგბურთო სამყაროში მთავარ მოვლენად წლის შემაჯამებელ ტურნირებზე გასვლისთვის მებრძოლთა ჯახების ყურება იქცევა ხოლმე და ახლაც ასეა. ბოლო ორი-სამი კვირაა, კაცი თუ ქალი სანუკვარ რვაში მოხვედრისთვის გამალებით იბრძვის და მომდევნო ერთი თვეც ამ ბრძოლის ნიშნით ჩაივლის. თუმც აქვე ვთქვათ ამ წლის შემაჯამებელ ტურნირებზე — კაცებისა ნოემბერ-დეკემბრის გასაყარზე შანხაიში გაიმართება და ამას მასტერსის თასსაც ეძახიან, ქალების კი მადრიდში შედგება. რამდენიმე ადგილი უკვე დაჯავშნული გახლავთ. თუმც თანმიმდევრობით მივყვეთ.

როჯერ ფედერერმა და რაფაელ ნადალმა შანხაიში ადგილი უკვე სეზონის შუაწელზე დაიბევეს — უიმბლდონის მიწურულისთვის ცნობილი იყო, რომ ჩინეთში ორივეს ვნახავდით. აშშ-ს ღია პირველობის შემდეგ კი მასტერსის თასზე მოხვედრა ნოვაკ ჯოკოვიჩმაც გაინაღდა. ამ ტრიოს გუშინწინ კიდევ ერთი მეჩოგნე, ნიკოლაი დავიდენკოც მიემატა. რუსმა ეს პატივი კრემლის თასის მოგების შემდეგ დაიმსახურა.

დარჩენილი ოთხი ადგილიდან ორი, შეიძლება ითქვას, დაკავებულია — ენდი როდიკსა და დავიდ ფერერს შანხაიში წასვლა გარანტირებული ჯერ არ აქვს, მაგრამ საკმაო რაოდენობის ქულები დააგროვეს საიმისოდ, რომ თავი მშვიდად იგრძნონ, რადგანაც საეჭვოა, მათ ვინმე დაემუქროს.

ასე რომ, დარჩა ორი ადგილი, რომლებისთვისაც სასწაული ჯახი გაჩაღებულა — ამისთვის ხომ ერთბაშად რვა მეჩოგნე იბრძვის. ასე განსაჯეთ, მეშვიდე ადგილზე მყოფ ფერნანდო გონსალესსა და მეთოთხმეტეზე გამაგრებულ ივან ლიუბიჩიჩს სულ რაღაც 29 ქულა აშორებთ. ამიტომ შემორჩენილი ორი ადგილისთვის ბრძოლა ამ რვიდან ნებისმიერს შეუძლია.

ბევრი რამ მადრიდისა და პარიზის მასტერსებზე გაირკვევა. შანხაიში წასვლა ვისაც სწადია, ქულების დაგროვების ამაზე კარგი შესაძლებლობა აღარ მიეცემა. ამიტომაც ესპანეთისა და საფრანგეთის დედაქალაქებში მაგარ ბატალიებს უნდა ველოდოთ.

კიდევ უფრო მეტი რამ არის გარკვეული ქალთა შორის, სადაც საჭირო რვა ადგილიდან შვიდი ფაქტობრივად დაკავებულია და შემორჩენილი ერთი ადგილისთვის ბრძოლა შედგება თუ არა, დარწმუნებით ვერავინ იტყვის.

მადრიდში მოხვედრა გარანტირებული აქვთ ჟუსტინ ენინს, სვეტლანა კუზნეცოვას, ელენა იანკოვიჩს, ანა ივანოვიჩსა და მარია შარაპოვას. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ ენინმა სეზონის პირველ ნომრად დამთავრებაც გაინაღდა. წლეულს რვა ტურნირის, მათ შორის „როლან გაროსისა“ და აშშ-ს ღია პირველობების, მოგების შემდეგ ეს გასაკვირი სულაც არ გახლავთ. ჭინკა ბელგიელი კარიერაში მესამედ დაამთავრებს სეზონს რეიტინგის სათავეში.

წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრისთვის ბრძოლას მივუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხუთეულის გარდა მადრიდში მოხვედრა თითქმის გაინაღდეს სერენა უილიამსმა და ანა ჩაკვეტაძემ. ისინი დიდი უპირატესობით უგებენ მდევრებს და მომავალ ტურნირებზე სულ მთლად თუ არ ჩაფლავდნენ, მადრიდში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეთ.

დარჩენილი ერთი ადგილისთვის კი სამი მეჩოგნე იბრძვის — სანუკვარ მერვე ადგილეზე ამჟამად ვინუს უილიამსი დგას, რომელსაც კვალში დანიელა ჰანტუხოვა და ელენა დემენტიევა ჩასდგომიან. ამათ შორის სხვაობა არც ისე დიდია, მაგრამ მდევრების არასტაბილურობის გამო საეჭვოა, ვინუსი რომელიმემ სერიოზულად შეაშინოს.

**კახა ლომჯარია**

# დევიძემ დაიწყო და დაამთავრა

**გასული** კვირის მსგავსად, ჩოგბურთის ქართველ ქომაგთა ყურადღება ამ დღეებშიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისკენ იქნება მიპყრობილი, სადაც ITF-ის ეგიდით ორი 50-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და მათში ჩვენებურებიც თამაშობენ.

ამერიკული ლოურენსვილის ჰარდზე ანა ტატიშვილი ძირითად ბადეშია, ხოლო სალომე დევიძე საკვალიფიკაციო სტადიის პირველივე წრეში 6:7 7:5 5:7 დამარცხდა კორტის მასპინძელთან, 18 წლისა და კლასიფიკაციაში 593-ე ადგილზე მყოფ ემლი ვეინჰოლდთან.

ფრანგული სენტ რაფაელის მაგარსაფარზე მაკა ჩახნაშვილი ითამაშებს. ტატიშვილის არ იყოს, ჩახნაშვილიც ძირითად ბადეშია და პირველ წრეში შეჯიბრში „უაილდ ქარდით“, ანუ ორგანიზატორთა მიღწევით მოხვედრილ მასპინძელს, 21 წლისა და რეიტინგის 308-ე პოზიციაზე მყოფ ფლორენ ჰარინგს შეხვდება.



# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# რაგბის ბაფანა: ბრაიან ჰაბანა



ხუან მარტინ ერნანდესმა არგენტინა დაიტირა



ბრაიან ჰაბანამ (ცენტრში) და სხვა „ქურციკებმა" ფინალისკენ გაიკვლიეს გზა

**„ჩვენთვის** მსოფლიოს თასი დამთავრდა. მესამე ადგილისთვის მატჩს არცთუ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ" — თქვა წაგებული ნახევარფინალის შემდეგ არგენტინელთა კაპიტანმა ავგუსტინ პიშომ. ყველა თამაშში ბოლომდე მებრძოლებს, სარაგბო სტერეოტიპების თავდაყირა დამყენებელ „პუმებს" გულის სიღრმეში ჩემპიონობა ჰქონიათ ამოჭრილი და ახლა დანანებით იმიტომ ლაპარაკობენ მესამე ადგილისთვის ბრძოლაზე. აგერ, ნახევარფინალებიც მიიწურა და ემოციების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ არგენტინის ნაკრები გმირი გუნდია. წელიწადში სანაკრებო 6-7 შეხვედრის ჩამტარებელმა „პუმებმა" ჯგუფურ ეტაპზეც დაბდღვნეს სარაგბო ბობოლები, მეოთხედფინალში შოტლანდიელებს გაუსწორდნენ და მხოლოდ სამხრეთ აფრიკასთან აღარ ეყოთ ის ზემონდომება, რომლითაც დაუვიწყარი გახადეს თავიანთი ყველა შეხვედრა.

იმ დღეს სამხრეთ აფრიკამ თავდაჯერებულობის მაგალითი უჩვენა ოვალურ სამყაროს. „ქურციებმა" ძარღვებში „სისხლი გაიციეს" და მიუხედავად თამაშის აკომპანიმენტად გამყოლი პატარ-პატარა კინკლაობებისა, დინჯად, სარაგბო ეთიკაში მოქცეული წესების დარღვევით მატჩი დამაჯერებლად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

პირველი ნახევარფინალური ჯახისგან განსხვავებით, რომელშიც ბრძოლა უფრო „სანგრებიდან" მიმდინარეობდა, ეს შეხვედრა ხელდახელ რაგბობითა და ლამაზ-ლამაზი კომბინაციებით გამოირჩა. დასაწყისშივე „პუმები" თავით გადაეშვნენ თამაშში და თითქოს უკანმოუხედავადაც შეუტიეს, მაგრამ მეექვსე წუთზე დიუპრემ „თეთრ-ლურჯებს" შეტევა ჩაჭრა და სამოციოდე მეტრი სალელოვედ ირბინა. მონგტომერმა კი უზადოდ გარდასახა.

32-ე წუთზე შეხვედრაში საუკეთესო ანტილოპასფეხება ბრაიან ჰაბანამ ულამაზესი ლელო გაიტანა. მან ზედახორიდან გამოტანილი და რამდენიმე კაცგამოვლილი ბურთი ხელში მოიგდო, მოწინააღმდეგის მცველებს ფეხით თავზე გადაუკიდა, მერე თვითონვე დაიჭირა და ლელოც გაიტანა. ერთიც უნდა ითქვას, რომ არგენტინელთა ტვინმა და ვარსკვლავმორაგბე ერნანდესმა ალბათ მსოფლიოს თასზე თავისი ყველაზე ცუდი შეხვედრა ჩაატარა. ის ხშირად იღებდა თამაშის სადავეებს ხელში, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდა. რამდენჯერმე ბურთიც დაუვარდა ხელიდან. მოკლედ, „აჭრილი" გახლდათ ათი ნომერი და ეს ფაქტორი გუნდმაც აშკარად შეეტყო. პირველი ნახევრის 39-ე წუთზე ისევ ერნანდესი შეცდა, ბურხერმა როსოუს ერთი შეხებით უპასა და მანაც ლელოთი დაასრულა შეტევა. მონტგომერმა სამივე გარდასახვა ზუსტად გაიმოიყენა და ერთი ჯარიმითაც შეეწია თანაგუნდელებს. საწყის ორმოც წუთში კი არგენტინელთა მონაგარმა ფილიპე კონტეპომის ორი ჯარიმით ექვსი ქულა შეადგინა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე „პუმებმა" ლელო გაიტანეს, რომელიც ვიდეორეფერის და მსაჯთა კონსილიუმის მეოხებით ჩაითვალა. კონტეპომმა გარდასახვაც გამოიყენა, მაგრამ სამხრეთ ამერიკელებმა მეტი ველარაფერი შეძლეს. ისევ „ქურციკთა" კარგი რაგბობა და ჰაბანას დამაგვირგვინებელი ლელო მონგტომერის გარდასახვითურთ. სამხრეთაფრიკელთა ნაალაფარს მონტგომერმა კიდევ ორი ჯარიმა მიაყოლა და თამაშიც ნელ-ნელა დასასრულს მიუახლოვდა. ბოლო წუთებზე მორაგბეთა კინკლაობამ ვერ გააფუჭა საერთო სურათი და შეხვედრით გამოწვეული ემოციები. საფინალო სასტვენისთანავე მოთამაშენი დაზავდნენ და „ქურციკების" გულშემატკივართა ზეიმიც დაიწყო.

ნამატჩევს „მწვანეების" მთავარი მწვრთნელ ჯეკ ვაიტი უკვე მომავალ ფინალზე ალაპარაკდა:

„მართალია, ინგლისს 36:0 მოვუგეთ, მაგრამ ჯონი უილკინსონთან ერთად „ვარდები" სულ სხვანაირად რაგბობენ. ასევე მათ ჰყავთ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე, რომლებიც 2003 წლის მსოფლიოს თასზეც ყოფილან, ამიტომ ინგლისს ვერ ჩამოვწერთ, საქმე ბოლომდეა მისაყვანი".

**ზურაბ მიგრიაული**

# ლოფრედამ მსაჯი ახსენა

**არგენტინელების** მთავარმა მწვრთნელმა მარსელო ლოფრედამ დამარცხებისთვის პასუხისმგებლობა ნაწილობრივ მსაჯს დააკისრა. „ჩემმა მოთამაშეებმა საკუთარ თავს უმტრეს. უამრავი შეცდომა დაუშვეს, რაც „ქურციკებმა" შეირგეს ისე, რომ თვითონ ვალი არ დაუბრუნებიათ. ანუ ჯარიმები, როგორებიც მსაჯმა დაგვიდო, სამხრეთაფრიკელებმაც ბევრი გააკეთეს, მაგრამ რეფერიმ რატომღაც ვერ დაინახა. რაღაც დოზით ჩვენ დამარცხებაზე ამანაც იმოქმედა.

არ უარვყოფ მოწინააღმდეგის დამსახურებასაც. საუკეთესო გუნდს ვერკინეთ ბოლომდე და თანაც მთელი თავდადებით. მე ვამაყობ ჩემი ბიჭებით. სამხრეთ აფრიკა არასოდეს პატიობს შეცდომებს და ძალიან სახიფათოა, როცა სივრცე ექმნება. კიდევ ვიმეორებ — პრობლემები შეგვიქმნა მსაჯმაც, მაგრამ მარცხი უფრო ჩვენი ბრალია" — ბრძანა ლოფრედამ.

**ზურაბ მიგრიაული**

# პიშოს დარდი

**არგენტინელთა** კაპიტნის ავგუსტინ პიშოს კომენტარის შესახებ მატჩის მიმოხილვაშიც მოგახსენეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, კაპიტნის ნააზრევის ვრცელი ვარიანტიც საინტერესო იქნება „სარბიელის" მკითხველისთვის.

აი, რა თქმა მან:

„მართალია, არგენტინის ნაკრები თავის ისტორიაში პირველად გავიდა ნახევარფინალში, მაგრამ ეს დამარცხება ჩემთვის ნამდვილად დამთრგუნველი იყო. ძნელი იქნება მესამე ადგილისთვის გასამართი შეხვედრისთვის მოტივირება. ბიჭები ცუდ ხასიათზე არიან. ძალიან მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ. ჩვენივე შეცდომების მსხვერპლი შევიქენით. სამხრეთაფრიკელები მხოლოდ და მხოლოდ შექებას იმსახურებენ. უძლიერესმა გუნდმა დაგვამარცხა. აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებლობების ისეთი კონცენტრირება, როგორიც მაგალითად საფრანგეთთან ექვსი კვირის წინ გვქონდა, ამჯერად ველარ შევძელით. რაღა უნდა ვთქვა — ჩვენთვის მსოფლიოს თასი დამთავრებულია."

**ზურაბ მიგრიაული**



# ლუსის კუნთი

**ალბათ** დაგამახსოვრდათ ნახევარფინალში ინგლისელების მიერ გატანილი პირველი ლელო და მისი ავტორი ჯოშ ლუსი, რომელმაც მოწინააღმდეგის ლელოს მისადგომებთან ბურთი ხელში მოიგდო და ფრანგი მეტოქე ბავშვივით გადათელა.

ლუსიმ „მამლებთან" ჯახში კუნთის ტრავმა მიიღო და ამიტომ ფინალსაც გამოტოვებს, რაზეც მწუხარება გამოთქვა ლოურენს დალალიომ: „ჯოშის ტრავმა მისთვის და მთლიანად გუნდისთვისაც დიდი დანაკარგია, მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი მოუთმენლად ელოდა ფინალურ შეხვედრას, მაგრამ რას ვიზამთ, მსოფლიოს თასი არასოდეს მოუგია ერთ მოთამაშეს და, იგი ვინც არ უნდა შეცვალოს, მაინც შესანიშნავ რაგბს ვაჩვენებთ". ლუსის სათადარიგოებად კი დენ ჰიპკინსი და მარკ კუეტი მოიაზრებიან.

**ზურაბ მიგრიაული**

# RUGBY WORLD CUP 2007

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი



AFP ბაზიდან



AFP ბაზიდან

# რა დროს ქორწილია, გაუმარჯოს რაგბის!

საფრანგეთი — ინგლისის სანახევარფინალო ჯახის წინ მავანმა ფრანგმა ქალბატონმა ფოტომონტაჟით „მამლების“ წვერგაუპარსავი გოლიათი მორკინალი სებასტიენ შაბალი ინგლისის დედოფალზე დააქორწინა, ნამატჩევს კი 60 წლის ფრანგ ბებოს საქმე სატირლად გაუხდა და ვერც შვილიშვილი გოგონას ნუგეში შველის რამეს.

ინგლისელმა ფანებმა კი რასაც ჰქვია, გაიხარეს და პარიზის ქუჩებში გამოეფინნენ. ფრანგებს გული გასკდომაზე აქვთ, ამასაც მოვესწარით ტრიუმფალური თაღის წინ ინგლისელები ზეიმობენ და ბრიტანული დროშა ფრიალებსო. ამასობაში პარიზის ქუჩებში მავან მშვიდობისმყოფელს სახლის ფასადზე მიუწერია, რაგბი მხოლოდ თამაშია, ნაციონალიზმიც დედაცო... ამ წარწერას არგენტინელთა და სამხრეთაფრიკელთა ერთობლივი ლუდის სმა ამართლებს, ფოტო კი იმითაა გამორჩეული, რომ სამხრეთ აფრიკაელთა მიერ არგენტინელთა ძლევის შემდეგაა.



AFP ბაზიდან



AFP ბაზიდან




AFP ბაზიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიევა, ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ურიხთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge